პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24, მეორე სართული, ტელეფონი 10—49. ხელისმოწერის ფასი: ... ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 13 მაისი 1925 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 107 (1262)

## დღიურ...

— დღეს გაიხსნება საკავშირო საბჭოების ყრილობა.
— ფინეთის მთავრობა ... სიტყვის გამო.
— პოლონეთში სისხლიანი ... რეაქციის პარტიებს.
— დამთავრდა პოლონეთის სეიმის უკრაინელ დეპუტატების საქმე.
— მაროკოში მოელიან სერიოზულ ბრძოლებს აჯანყებულებსა და საფრანგეთის ჯარს შორის.

## საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობა

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ დედა-ქალაქში, მოსკოვში, დღეისათვის დანიშნულია საბჭოების სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის გახსნა.

ეს ყრილობა მთელი საბჭოთა მიწა-წყლის უზენაესი ბატონ-პატრონია, რომელსაც საკავშირო მთავრობა წარუდგება მოხსენებით მის მიერ ჩატარებულ ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ, მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ამასთან ყრილობა, გაითვალისწინებს რა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დღევანდელ მდგომარეობას, დასახავს შემდგომი მოქმედების გეგმას, მისცემს სათანადო ორგანოებს დირექტივებს მომავალი მუშაობისათვის.

ყრილობის დღის წესრიგში, როგორც დღევანდელი ცნობიდან გაიგებს მკითხველი, დგანან უაღრესი მნიშვნელობის საკითხები. პირველ რიგში ყრილობა განიხილავს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უზბეკისტანის და თურქმენისტანის საბჭოთა რესპუბლიკების შესვლის საკითხს. თავის მხრივ ამ რესპუბლიკებს ნებაყოფლობით შეუერთდენ დამოუკიდებლად არსებული ხორაზმის და ბუხარას სახალხო რესპუბლიკები.

ეს გარემოება ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვებათაგანია საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის ...

სოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხის გადაჭრა, გლეხობის გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში,—აი რა შეუწყობს ხელს გლეხობის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, გლეხურ მეურნეობის განვითარებას, სოფლის მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების განმტკიცებას. ყრილობა ამ საკითხებზე იქონიებს მსჯელობას და გამოიტანს დღევანდელი პირობების შესაფერ დადგენილებებს.

ამასთან ყრილობა გამოიმუშავებს ზომებს გლეხობასა და მუშათა კლასს შორის პოლიტიკური კავშირის უფრო განსამტკიცებლად. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გლეხობა გარედან კი არ უნდა უყურებდეს საბჭოებს, არამედ მიიღოს მათში აქტიური და ფართე მონაწილეობა და თვითონ გაიზიაროს პასუხისმგებლობა მართვა-გამგეობის საქმეში; ის უნდა დაეუფლოს სახელმწიფო აპარატს. საბჭოების არჩევნებმა ამ მხრივ მეტად საგრძნობი მიღწევები მოგვცეს. საჭიროა ამ მიღწევების განმტკიცება და გაფართოვება.

კერძოთ უაღრესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვედა აპარატის გაუმჯობესებას, სოფლად საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას. ყრილობა ამ სფეროშიც დასახავს საჭირო ზომებს.

...

# მე-14 პარტიული კონფერენციის შედეგების შესახებ

## ამხ. სტალინის მოხსენება რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

### კაპიტალიზმის დროებითი განმტკიცება წარმოშობს ისეთ პირობებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის დამხობას

### საბჭ. კავშირის განმტკიცება ხელს უწყობს პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისათვის ნიადაგის მომზადებას

### შესვენების პერიოდი გამოყენებული უნდა იქნას უცხოეთის პარტიების ბოლშევიზაციისათვის

### უცხოეთის კომპარტიების უპირველეს ამოცანას შეადგენს პროფკავშირებთან მჭიდრო კავშირის დამყარება

### „კოლონიალური ქვეყნები დგანან თავისი 1905 წლის რევოლუციის წინ“

#### ექვსი ძირითადი ჯგუფი საკითხებისა

— „ამხანაგებო! მე მგონია, საჭირო არ არის აქ დაწვრილებით გავარჩიოთ პარტიის მე-14 კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციები. ეს ბევრ დროს წაგვართმევდა, და არც არის ეს საჭირო. ვფიქრობ, რომ საკმარისი იქნება დავკმაყოფილდეთ იმ ძირითადი ხაზების აღნიშვნით, რომლებიც წითელი ზოლივით არის გატარებული ყველა რეზოლუ...

საკითხების პირველი ჯგუფი ეხება საერთაშორისო მდგომარეობას. საკითხების მეორე ჯგუფი ეხება კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიების მორიგ ამოცანებს. საკითხების მესამე ჯგუფი ეხება კოლონიალური და დაჩაგრული ქვეყნების კომუნისტური ელემენტების მორიგ ამოცანებს. საკითხების ...

... ლიკვიდატორები გვარწმუნებდენ, რომ რევოლუცია დამარცხდა. მაგრამ, რევოლუციამ, რომელმაც გაიარა მთელი რიგი წინსვლა და უკანდახევა, გაიმარჯვა 1917 წლის თებერვალში.

რევოლუციის მეორე ეტაპი დაიწყო 1917 წლის თებერვლიდან. მისი მიზანი იყო იმპერიალისტურ ომიდან თავის დაღწევა, ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის დიქ...

... განვითარებით, რაც პროლეტარიატის გამარჯვებით დამთავრდება, მაგრამ შეიძლება არც კი დამთავრდეს გამარჯვებით, არამედ შეიცვალოს ახალი დაცემით, რომელსაც თავის რიგად უნდა მოჰყვეს რევოლუციის ტალღის ახალი აწევა.

ჩვენი პერიოდის ლიკვიდატორები ლაპარაკობენ, რომ რევოლუციის მიუხედავა—მსოფლიო რევოლუციის დასასრულს მოასწავებს. ისინი სცდებიან, როგორც სცდებოდენ წინად ...

... წერტილზე გაყინვას, შეიძლება თუ არა იგი შეუფარდოთ საბჭოთა წყობილებას. არა. სტაბილიზაცია არ ნიშნავს ერთ წერტილზე გაყინვას. სტაბილიზაცია ნიშნავს შექმნილ მდგომარეობის განმტკიცებას და შემდეგ განვითარებას. მსოფლიო კაპიტალიზმი არა თუ განმტკიცდა დღევანდელ მის მდგომარეობის მიხედვით, არამედ იგი მიდის წინ და ვითარდება, აფართოებს თავისი გავლენის სფეროს და ...

რა განსხვავებაა ამ ორ სტაბილიზაციას შორის? საით მიჰყევართ ერთს და საით—მეორე სტაბილიზაციას?

სტაბილიზაცია კაპიტალიზმის პირობებში აძლიერებს დროებით კაპიტალს და აუცილებლად მიჰყავს ამავე დროს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებისაკენ: ჯერ ერთი სხვადასხვა ქვეყნების იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის, მეორე— ...

...

#### საერთაშორისო მდგომარეობა

...

## ჩვენი სატყეო მეურნეობა

...

... ვა, ნაწილობრივ განახლება, მისი შესწავლა და ძველი ტყის ქარხნების შეძლების ფარგლებში აღდგენა და გაუმჯობესება, შინაურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რკინისგზებისათვის შედარებით ვიწრო ფარგლებში შპალების დამზადება და ზოგიერთ სხვა ხელსაყრელ შეკვეთების შესრულება. ამ ფარგლებიდა ჩვენი ...

... აგარაკებში შედარებით ვიწრო ჩარჩოებში მუშაობას სჭირია მუშაობის პირობებთან შეგუებული ხელმძღვანელი აპარატებიც, ხოლო რაც შეეხება საერთო მეთვალყურეობას და მთავარ ხელმძღვანელობას, ეს, რასაკვირველია, ცენტრალური ხელისუფლების მოვალეობაა.

დ. თოფურიძე.

## თეთრგვარდიელთა პრესა

### მილიუკოვი და პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი

ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების თათბირმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამას წინათ ლონდონში, ააქანა ბურჟუაზია. სამართლიანადაც. ბურჟუაზიამ თავისი პოლიტიკით ომამდე და ომის დროს შესძლო სოციალ-დემოკრატიის აქტიური დახმარებით გაეთიშა საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. ბურჟუაზიამ და სოციალ-დემოკრატიამ მოახერხეს ეჭვები დაეთესათ საბჭოთა კავშირის მიმართ პროლეტარიატის იმ ნაწილში, რომელიც მისდევდა და მისდევს საერთაშო...

პროფკავშირები ამ საქმეში. თავის გაზეთის („Последние Новости“ 28 აპრილი) ვეებერთელა მეთაურში ის სწერს შემდეგს;

„ჭეშმარიტათ ინგლისური შეუპოვრობით ტრედიუნიონისტები მუშაობენ ამ მიმართულებით (ე. ი. ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ. მეპრესე), მიუხედავად იმისა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალმა ორჯერ უარჰყო მათი თვალსაზრისი. თუ ჯონ-ბულისათვის (ასე უწოდებენ ინგლისელებს. მეპრესე) ...

...

უდიდესი უმრავლესობის მდგომარეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების გზა.

სწორედ ამიტომ კაპიტალიზმის განვითარებამ არ შეიძლება არ წარმოშვას პირობები, რომლებიც ართულებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმს არ ძალუძს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა.

რასაკვირველია, რომ არ ყოფილიყო კაპიტალიზმის არათანაბრად განვითარების კანონი, რომელიც იწვევს კონფლიქტებს და ომებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ახალშენების გულისთვის, რომ კაპიტალიზმს შეეძლოს განვითარება ისე, რომ არ გაზიდოს კაპიტალები იაფი ნედლეულის და მუშა ხელის ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომ დაგროვილი კაპიტალის ზედმეტი ნაწილი მეტროპოლიაში ხმარდებოდეს არა კაპიტალების გაზიდვას, არამედ მიწათმოქმედების სერიოზულ განვითარებას და გლეხობის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომ ეს ზედმეტი კაპიტალი ხმარდებოდეს მუშათა კლასის მთელი მასის საცხოვრებელი დონის ამაღლებას,—მაშინ ლაპარაკიც არ იქნებოდა მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებაზე და გლეხობის გაღატაკებაზე კაპიტალიზმის პირობებში, ჩაგვრის გაძლიერებაზე კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, კონფლიქტებზე და ომებზე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

მაგრამ მაშინ კაპიტალიზმიც ხომ კაპიტალიზმი არ იქნებოდა.

საქმე იმაშია, რომ კაპიტალიზმი ვერ განვითარდება, თუ არ გაამწვავა ეს წინააღმდგობანი და არ შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც საბოლოოდ აადვილებენ კაპიტალიზმის დამხობას.

საქმე იმაშია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, პირიქით, ვერ განვითარდება, თუ არ შექმნა ისეთი პირობები, რომლებსაც უმაღლეს საფეხურზე აჰყავთ რევოლიუციონური მოძრაობა ყველა ქვეყნებში და რომლებიც ამზადებენ პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას.

ასეთია განსხვავება ორ სტაბილიზაციას შორის.

აი რატომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ვერ იქნება ვერც ხანგრძლივი, ვერც მტკიცე.

განვიხილოთ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხი კონკრეტიულად.

**რაში გამოიხატა კონკრეტიულად კაპიტალიზმის სტაბილიზაცია?**

**პირველი**—იმაში, რომ ამერიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა მოახერხეს დროებით შეთანხმების მიღწევა გერმანიის გაძარცვის საშუალებების შესახებ. სხვანაირად რომ ვსთქვათ, მათ მიაღწიეს შეთანხმებას, რომელსაც ისინი უწოდებენ გერმანიის დოუესიზაციას. შეიძლება ამ შეთანხმებას უწოდოთ ოდნავ მტკიცე შეთანხმება? არ შეიძლება. იმიტომ, რომ, ჯერ ერთი—ის დადებულია „ხაზეინის“, გერმანიის ხალხის დაუსწრებლად, მეორე—იმიტომ, რომ ეს შეთანხმება მოასწავებს ორმაგ ჩაგვრას გერმანიის ხალხისათვის—ნაციონალური ბურჟუაზიის მხრივ და აგრეთვე უცხოეთის ბურჟუაზიის მხრივაც. იმის თქმა, რომ ასეთი კულტურული ერი, როგორიც არის გერმანიის ერი, ისეთი კულტურული პროლეტარიატი, როგორიც არის გერმანიის პროლეტარიატი, თანახმა იქნება ზიდოს ორმაგი უღელი რამოდენიმე სერიოზულ რევოლიუციონური აფეთქების ცდის მოუხდენლად,—ეს იმას ნიშნავს, რომ სასწაული იწამო. თვით ასეთი არსებითად რეაქციონური ფაქტიც კი, როგორიც არის ჰინდენბურგის არჩევა, სავსებით ცხადჰყოფს იმას, რომ ანტანტის დროებითი შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ არ არის მტკიცე, ოდნავადაც არ არის მკვიდრი.

**მეორე**,—კაპიტალიზმის სტაბილიზაცია გამოიხატა იმაში, რომ ინგლისის, ამერიკის და იაპონიის კაპიტალი დროებით შეთანხმდა ჩინეთში, საერთაშორისო კაპიტალის ამ უდიდეს ბაზარზე, გავლენის სფეროს განაწილების შესახებ, მისი გაძარცვის საშუალებების შესახებ. შეიძლება ეს შეთანხმება ოდნავად მტკიცედ ჩაითვალოს? არ შეიძლება. ჯერ ერთი, შეთანხმებულები ერთმანეთს შესჭამენ ნაძარცვის განაწილების დროს,—მეორე ეს შეთანხმება მოხდა ჩინეთის ხალხის ზურგს უკან, იმ ხალხის, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს და არც დაემორჩილება უცხოელ მძარცველების კანონებს. განა ჩინეთში რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა არ ღაღადებს იმას, რომ უცხოელ იმპერიალისტების მახინაცია განწირულია?

**მესამე**—კაპიტალიზმის სტაბილიზაცია გამოიხატა იმაში, რომ მოწინავე ქვეყნების იმპერიალისტური ჯგუფები დროებით შეთანხმდენ იმის შესახებ, რომ არ ჩაერიონ ერთმანეთის საქმეში თავ-თავიანთ ახალშენების ძარცვის და ჩაგვრის დროს.

შეიძლება ეს შეთანხმება ან შეთანხმების ცდა ჩაითვალოს ოდნავად მტკიცედ? არა, არ შეიძლება.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თვითეული იმპერიალისტური ჯგუფი, სცდილობს და ეცდება შეიერთოს სხვისი ახალშენის ნაწილი. მეორე,—იმიტომ, რომ იმპერიალისტურ ჯგუფების რეჟიმი და ჩაგვრის პოლიტიკა ახალშენებში მხოლოდ აღვივებს რევოლიუციონურ განწყობილებას და არევოლიუციონერებს ამ ახალშენებს, ამწვავებს იქ რევოლიუციონურ კრიზისს. იმპერიალისტები სცდილობენ დააშოშმინონ ინდოეთი, ჩააჩუმონ ეგვიპტე, „მოარჯულონ“ მაროკო, ხელფეხი შეუკრან ინდო-ჩინეთს და ინდონეზიას და ამისათვის მიმართავენ ყოველგვარ ოინებს და მახინაციებს. შესაძლებელია მათ მიაღწიონ ამ მხრივ ერთგვარ შედეგებს, მაგრამ ცხადია, რომ ეს მახინაციები არ არის და ვერც იქნება საკმარისი.

**მეოთხე**—კაპიტალიზმის სტაბილიზაცია შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ მოწინავე ქვეყნების იმპერიალისტური ჯგუფები შეეცდებიან შეთანხმების მიღწევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. დაუშვათ, რომ ისინი შესძლებენ ამ შეთანხმების მიღწევას, გამოიყენებენ რა ყოველგვარ კომბინაციებს ისეთ მაშენიკურ სიყალბესაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა სოფიის ტაძრის აფეთქების დროს. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ შეთანხმება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ან სტაბილიზაცია ამ დარგში იქნება ოდნავ მტკიცე და ნაყოფიერი? მე ვფიქრობ, რომ ასეთი საბუთი არ გვაქვს. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კაპიტალისტების ერთიანი ფრონტის და გაერთიანებული შემოტევის საფრთხე შემოკრებდა მთელს ქვეყანას საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, აქცევდა მას დაუძლეველ ციხე-სიმაგრეთ, განამტკიცებდა უფრო მეტად, ვიდრე ეს მოხდა, მაგალითად, „14 სახელმწიფოს“ შემოტევის დროს. გაიხსენეთ ცნობილი ჩერჩილის მუქარა 14 სახელმწიფოს თავდასხმის შესახებ. თქვენ იცით, რომ საკმაო იყო ამ მუქარის გაგონება, რომ მთელი ქვეყანა შემოკრბა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო იმპერიალისტურ მტაცებლების წინააღმდეგ.

მეორე—იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრება გახსნის მთელ რიგ რევოლიუციონურ კვანძს მოწინააღმდეგეების ზურგს უკან, დაშლის და დაქსაქსავს იმპერიალისტების რიგებს. ასეთი კვანძი უკანასკნელ დროს აუარებელია და ისინი კარგს არაფერს უქადიან იმპერიალიზმს, ეს ეჭვს გარეშეა.

მესამე—იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა მარტო არ არის, მას ჰყავს მოკავშირეები დასავლეთის მუშების და აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების სახით. ეჭვს გარეშეა, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნება იმპერიალიზმის ომი თავისი საკუთარი მუშების და ახალშენების წინააღმდეგ. მე ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ თუ თავს დაესხმიან ჩვენს ქვეყანას, ჩვენც არ შევხვდებით ამას გულხელდაკრეფილნი, ჩვენ მივიღებთ ყოველივე ზომებს იმისათვის, რომ დავანთოთ რევოლიუციონური ცეცხლი მსოფლიოს ყველა ქვეყნებში. კაპიტალისტურ ქვეყნების ხელმძღვანელებმა არ შეიძლება არ იცოდენ, რომ ჩვენ ამ მხრივ გვაქვს ერთგვარი გამოცდილება.

ასეთია ფაქტები და მოსაზრებები, რომლებიც მოწმობს იმას, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ შეიძლება იყოს მტკიცე და რომ ეს სტაბილიზაცია ნიშნავს ისეთ პირობების წარმოშობას, რომელთაც მივყავართ კაპიტალიზმის დამარცხებისაკენ, ხოლო საბჭოთა წესწყობილების სტაბილიზაცია, პირიქით, ნიშნავს ისეთი პირობების შექმნას, რომელთაც მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ, ყველა ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებისა და სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

ორი სტაბილიზაციის—კაპიტალისტური და საბჭოთა სტაბილიზაციის—ეს პრინციპიალური წინააღმდეგობა გამოხატავს წინააღმდეგობას მეურნეობის და მმართველობის ორ სისტემას შორის—კაპიტალიზმის სისტემასა და სოციალიზმის სისტემას შორის.

ვინც ვერ შეიგნო ეს წინააღმდეგობა, ის ვერ შეიგნებს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად შინაარსს.

ასეთია საერთაშორისო მდგომარეობის საერთო სურათი ამ ჟამად.

## დასავლეთის კომპარტიების ამოცანები

გადავდივარ საკითხების მეორე ჯგუფზე. კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მდგომარეობის ახალი და თავისებური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ რევოლიუციის წინსვლის პერიოდი შესცვალა მისი უკან დახევის პერიოდმა, სიწყნარის პერიოდმა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს სიწყნარის პერიოდი გამოყენებული იქნეს კომუნისტური პარტიების განსამტკიცებლად, მათი ბოლშევიზაციისა და ნამდვილ მასიურ პარტიებათ გარდაქმნისათვის,—ისეთ პარტიებათ, რომლებიც უნდა დაეყრდნონ პროფკავშირებს; ეს პერიოდი გამოყენებული უნდა იქნეს იმისათვის, რომ პროლეტარული კლასების და, უპირველეს ყოვლისა, გლეხობის მშრომელი ელემენტები გაერთიანებული იქნენ პროლეტარიატის გარშემო და პროლეტარები მომზადებული იქნენ რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

მე არ შეუდგები ყველა იმ მორიგი ამოცანების ჩამოთვლას, რომლებიც დასმულია დასავლეთის კომუნისტური პარტიების წინაშე. თუ თქვენ წაიკითხავთ სათანადო რეზოლიუციას, განსაკუთრებით კომინტერნის გაფართოვებული აღმასკომის რეზოლიუციას ბოლშევიზაციის შესახებ, თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რაში მდგომარეობენ კონკრეტიულათ ეს ამოცანები. მე მინდა შევჩერდე ძირითად ამოცანაზე—დასავლეთის კომუნისტური პარტიების იმ ამოცანაზე, რომლის გამორკვევა გვიადვილებს ყველა დანარჩენი მორიგი ამოცანების გადაწყვეტას.

როგორია ეს ამოცანა? ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთის კომუნისტური პარტიები დაუკავშიროთ პროფკავშირებს. ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განვავითაროთ და ბოლომდე მივიყვანოთ კამპანია პროფმოძრაობის მთლიანობისათვის, რომ აუცილებლათ შევიდენ ყველა კომუნისტები პროფკავშირებში, რომ მათ სისტემატიური მუშაობა აწარმოონ მუშების გასაერთიანებლათ ერთიან ფრონტში კაპიტალის წინააღმდეგ და შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ კომუნისტურ პარტიებს დაეყრდნონ პროფკავშირებს.

ამ ამოცანის განხორციელების გარეშე შეუძლებელია კომუნისტური პარტიების გარდაქმნა ნამდვილ მასიურ პარტიებათ, შეუძლებელია ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც აუცილებელია პროლეტარიატის გამარჯვებისათვის.

პროფკავშირები და პარტიები დასავლეთში იგივე არ არის, რაც პროფკავშირები და პარტიები ჩვენში. ურთიერთობა პროფკავშირებსა და პარტიებს შორის დასავლეთში ისეთი არ არის, როგორც რუსეთში. პროფკავშირები ჩვენში გაჩნდენ პარტიის შემდეგ და მუშათა კლასის პარტიის გარშემო. პროფკავშირები არ იყო ჩვენში, როდესაც პარტია და მისი ორგანიზაციები ხელმძღვანელობდენ უკვე მუშათა კლასის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ ბრძოლასაც; პარტია ხელმძღვანელობდა მუშების წვრილ და სულ მცირე გაფიცვებსაც კი.

ამით აიხსნება, უმთავრესად, ის განსაკუთრებული ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობდა ჩვენი პარტია მუშებს შორის თებერვლის რევოლიუციამდი, პროფკავშირების იმ ჩანასახებთან შედარებით, რომლებიც მაშინ არსებობდა აქა-იქ.

ნამდვილი პროფკავშირები ჩვენში გაჩნდა მხოლოდ 1917 წლის შემდეგ. უკვე ოქტომბრის წინ ჩვენ გვქონდა ჩამოყალიბებული პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდენ მუშებს შორის. ლენინი უკვე მაშინ ამბობდა, რომ ისეთი დასაყრდენის გარეშე, როგორიც არის პროფკავშირები, შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის დაპყრობა და მისი შენარჩუნება. ყველაზე უფრო მძლავრათ განვითარდენ ჩვენი პროფკავშირები ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მძლავრი პროფკავშირები ეხლა პროლეტარიატის დიქტატურის ერთერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. ჩვენი პროფკავშირების განვითარების ყველაზე უფრო დამახასიათებელი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აღმოცენდენ, განვითარდენ და განმტკიცდენ პარტიის შემდეგ, პარტიის გარშემო და პარტიასთან კავშირში.

სულ სხვა პირობებში ვითარდებოდენ პროფკავშირები დასავლეთ ევროპაში. პირველი—ისინი აღმოცენდენ და განმტკიცდენ დიდი ხნით უფრო ადრე, ვიდრე მუშათა კლასის პარტია შეიქმნებოდა. მეორე—პროფკავშირები კი არ ვითარდებოდენ მუშათა კლასის პარტიის გარშემო, არამედ თვითონ მუშათა კლასის პარტიები გამოვიდენ პროფკავშირებიდან. მესამე—ვინაიდან ბრძოლის ეკონომიური სფერო, რომლითაც ყველაზე უფრო დაინტერესებულია მუშათა კლასი, უკვე დაპყრობილი იყო პროფკავშირების მიერ, ამიტომ პარტიები იძულებული იყვენ, უმთავრესად, ეწარმოებიათ პარლამენტარული პოლიტიკური ბრძოლა, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მათი მუშაობის ხასიათზე და მათ ხვედრით წონაზე მუშათა კლასის თვალში. ვინაიდან პროფკავშირები პარტიებზე ადრე აღმოცენდენ, ამიტომ ისინი შეადგენდენ პროლეტარიატის ძირითად ციხე-სიმაგრეს მის ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ; სწორედ ამიტომ, პარტიები, როგორც დამოუკიდებელი ძალა, რომლებიც არ ეყრდნობოდენ პროფკავშირებს, უკანა პლანზე აღმოჩნდენ.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თუ კომუნისტურ პარტიებს სურთ გახდენ ნამდვილ მასიურ ძალათ, რომელსაც შეეძლება რევოლიუციის წინ წაწევა, მაშინ ისინი უნდა დაუკავშირდენ პროფკავშირებს და დაეყრდნონ მათ.

დასავლეთ ევროპის მდგომარეობის ამ თავისებური მხარის არგათვალისწინება ნიშნავს კომუნისტური მოძრაობის საქმის აშკარად დაღუპვას.

დასავლეთში ჩვენ ჯერ კიდევ ვხედავთ ცალკე „კომუნისტებს“, რომლებსაც არ სურთ შეიგნონ ეს თავისებურება და რომლებიც განაგრძობენ თავისი ანტი-პროლეტარული და ანტი-რევოლიუციონური ლოზუნგის—„გამოდით პროფკავშირებიდან“—ქადაგებას. უნდა ითქვას, რომ არავის არ შეუძლია ისეთი ზიანი მიაყენოს კომუნისტურ მოძრაობას დასავლეთში, როგორც ასეთ „კომუნისტებს“. ეს ხალხი ფიქრობს იერიშები მიიტანოს პროფკავშირებზე გარედან, რადგან მათ მოწინააღმდეგის ბანაკად სთვლის. მათ არ ესმით, რომ ასეთი პოლიტიკის გატარების დროს მუშები მათ შეაფასებენ სწორედ, როგორც მტრებს. მათ არ ესმით, რომ—ცუდია თუ კარგია პროფკავშირები—მასიური მუშა მათ მაინც თავის ციხე-სიმაგრეებათ სთვლის, რომელთა დახმარებით ის აჩერხებს შრომის ხელფასის, სამუშაო დღის და სხვათა დაცვა-შენარჩუნებას. მათ არ ესმით, რომ ასეთი პოლიტიკა კი არ აადვილებს, არამედ ხელს უშლის კომუნისტების შეჭრას მუშათა კლასის მრავალმილიონიან მასებში.

„თქვენ იერიშები მიგაქვთ ჩემი ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ“, შეუძლია უთხრას ასეთ „კომუნისტებს“ საშუალო მასიურმა მუშამ. „თქვენ გინდათ დაშალოთ ის საქმე, რომელსაც მე ათეული წლების განმავლობაში ვაკეთებდი და მიმტკიცებთ, რომ კომუნიზმი სჯობია ტრედიუნიონიზმს. მე არ ვიცი: თქვენ, შეიძლება, მართალი ხართ თქვენს თეორიულ მსჯელობაში კომუნიზმის შესახებ,—მე, უბრალო მუშას, სად შემიძლია გავერკვიო თქვენს თეორიებში. მაგრამ მე ვიცი ერთი რამ: მე მაქვს პროფკავშირების ციხე-სიმაგრეები, მათ მივყავდი მე ბრძოლაში და ისინი მიცავდენ მე—ცუდად იყო თუ კარგათ—კაპიტალისტების თავდასხმისაგან.

და ყველა ის, ვინც ფიქრობს ამ ამ ციხე-სიმაგრეების დანგრევას, ანგრევს ჩემ საკუთარ მუშურ საქმეს. თავი დაანებეთ ჩემი ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ იერიშების მოტანას, შედით პროფკავშირებში, იმუშავეთ იქ 5 წელიწადი, და მეტიც, დაეხმარეთ მათ გაუმჯობესებას და განმტკიცებას, მე კი შემოგხედავთ თქვენ, რა ვაჟკაცებიც ბრძანდებით. და თუ თქვენ აღმოჩნდით ნამდვილი შესაფერისი ვაჟკაცები, მე უარს არ გეტყვით მხარის დაჭერაზე და სხვა“ ასე ან დაახლოებით ასე ხდება დღეს საშუალო მასიური მუშა ანტი-პროფესიონალისტებს. ვისაც არ გაუგია ევროპის საშუალო მუშის ეს ფსიქოლოგიური თავისებურება, ის ვერაფერს ვერ გაიგებს ჩვენი კომუნისტური პარტიების დღევანდელ მდგომარეობაში.

რაში მდგომარეობს სოც.-დემოკრ. ძლიერება ევროპაში? იმაში, რომ იგი ეყრდნობა პროფკავშირებს.

რაში მდგომარეობს ჩვენი კომუნისტური პარტიების სისუსტე დასავლეთში? იმაში, რომ ისინი ჯერ კიდევ არ შემჭიდროებულან, ხოლო ამ კომუნისტურ პარტიების ზოგიერთ ელემენტებს ჯერ არც კი სურთ გაერთიანდენ პროფკავშირებთან.

ამიტომ დასავლეთის კომუნისტურ პარტიების მთავარი ამოცანა ამჟამად მდგომარეობს იმაში, რათა განვითარდეს და ბოლომდე იქნას მიყვანილი კამპანია პროფმოძრაობის მთლიანობისათვის, რათა ყველა კომუნისტები შევიდენ პროფკავშირებში. აწარმოვონ იქ სისტემატიური, თანდათანობითი მუშაობა კაპიტალის წინააღმდეგ მუშათა კლასის შესაკავშირებლად და მიაღწიონ, ამგვარად, იმას, რათა კომუნისტურ პარტიებს შეეძლოთ დაყრდნობა პროფკავშირებზე.

ასეთია პროფმოძრაობის მთლიანობისათვის წარმოებელი კამპანიის დედააზრი.

ასეთია კომინტერნის გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებათა დედააზრი დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიების მორიგ ამოცანების შესახებ.

## კოლონიალურ ქვეყნების კომუნისტურ ელემენტების ამოცანები

გადავდივარ საკითხების მესამე ჯგუფზე. ახალი მომენტი ამ დარგში მდგომარეობს შემდეგში:

ჯერ ერთი იმის გამო, რომ სწარმოებს კაპიტალის გატანა მოწინავე ქვეყნებიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში, რასაც ხელს უწყობს კაპიტალიზმის სტაბილიზაცია—კაპიტალიზმი კოლონიალურ ქვეყნებში ვითარდება და განვითარდება ჩქარის ტემპით; ამავე დროს იგი ანადგურებს სოციალ-პოლიტიკურ პირობების ძველ ფორმებს და ჰქმნის ახალს.

მეორე—პროლეტარიატი ამ ქვეყნებში იზრდება და გაიზრდება გაძლიერებული ტემპით.

მესამე—იზრდება და გაიზრდება რევოლიუციონური მოძრაობა და რევოლიუციონური კრიზისი კოლონიებში.

მეოთხე—ამასთან დაკავშირებით მრავლდება და გამრავლდება ეროვნული ბურჟუაზიის ცნობილი ფენები—ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი, რომელთაც ეშინიათ რევოლიუციის თავის ქვეყანაში უფრო მეტად, ვიდრე იმპერიალიზმის და ისინი უპირატესობას მიაკუთვნებენ იმპერიალიზმთან შეთანხმებას თავიანთ ქვეყნის იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების წინაშე და ამით ისინი გაჰყიდიან თავის საკუთარ სამშობლოს (ინდოეთი, ეგვიპტე და სხვ.).

მეხუთე—ყველაფერ ამის გამო იმპერიალიზმისაგან ამ ქვეყნების განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ბრძოლით შემთანხმებელ ეროვნულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მეექვსე—აქედან გამომდინარეობს, რომ საკითხი მუშათა და გლეხთა კავშირის, და იმ კოლონიალურ ქვეყნებში პროლეტარიატის გეგემონიის შესახებ, სადაც მრეწველობა განვითარებულია ან ვითარდება, უნდა გახდეს აქტუალურ საკითხად, ისე, როგორც იგი გახდა აქტუალურად რუსეთის 1905 წლის რევოლიუციის წინ.

დღემდის საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ აღმოსავლეთზე ლაპარაკობდენ, როგორც ერთ მთლიან, ერთგვარ ქვეყანაზე. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ერთიანი, ერთგვარი აღმოსავლეთი აღარ არსებობს, არამედ არიან კოლონიები, კაპიტალისტურად განვითარებული ან განვითარების გზაზე მდგომი და კოლონიები ჩამორჩენილი, რომელთა მიმართ არ შეიძლება ვიქონიოთ ერთნაირი საზომი.

დღემდის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა წარმოდგენილი ჰქონდათ ისე, რომ მას სთვლიდენ დამოკიდებულ ქვეყნების ყველა ეროვნულ ელემენტების ერთიან ფრონტად, დაწყებული უკიდურეს რეაქციონულ ბურჟუებიდან და გათავებული უკიდურეს რევოლიუციონურ პროლეტარებით. ეხლა, როდესაც ეროვნული ბურჟუაზია გაიყო რევოლიუციონურ და ანტი-რევოლიუციონურ ფრთად, ეროვნული მოძრაობის სურათს ეძლევა ცოტა სხვანაირი სახე. ეროვნული მოძრაობის ეროვნულ ელემენტებთან ერთად, ბურჟუაზიაში ისახება შემთანხმებელი, რეაქციონული ელემენტები, რომელნიც იმპერიალიზმთან შეთანხმებას ანაცვალებენ თავიანთი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს.

აქედან გამომდინარეობს კოლონიალურ ქვეყნების კომუნისტურ ელემენტების ამოცანა გაერთიანდენ ბურჟუაზიის რევოლიუციონურ ელემენტებთან და გლეხობასთან იმპერიალიზმის და „საკუთარ“ ბურჟუაზიის შემთანხმებელ ელემენტების ბლოკის წინააღმდეგ, იმისათვის, რათა პროლეტარიატის მეთაურობით აწარმოვონ ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლა იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის.

დასკვნა ერთია: მთელი რიგი კოლონიალურ ქვეყნებისა უახლოვდება ამჟამად თავის 1905 წელს.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა შევაკავშიროთ კოლონიალურ ქვეყნების მუშები ერთიან კომუნისტურ პარტიაში, რომელსაც აქვს უნარი ხელმძღვანელობა გაუწიოს დაწყებულ რევოლიუციას.

აი, რას ამბობს ლენინი ჯერ კიდევ 1922 წელს კოლონიალურ ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების შესახებ.

„პირველ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში გამარჯვებულებს არ ძალუძთ დაამარცხონ თვით პატარა, უმნიშვნელო და პატარა ირლანდია; არ ძალუძთ დაამარცხონ არევ-დარევა, რომელიც შეიქმნა მათ შორის საფინანსო და სავალიუტო საკითხებში. ხოლო ინდოეთი და ჩინეთი ბობოქრობენ, ეს—700 მილიონ კაცზე მეტი, ეს მათი განაპირა—სავსებით მათი მსგავსი ქვეყნების მითვლით, შეადგენს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს. იქ ახლოვდება შეუჩერებლად, თანდათან უფრო მეტი სისწრაფით 1905 წელი, მხოლოდ იმ არსებითი და დიდი განსხვავებით, რომ 1905 წელს რევოლიუცია რუსეთში შეიძლებოდა ჩატარებულიყო (ყოველ შემთხვევაში, პირველად) განმარტოებულად, ე. ი. შეიძლებოდა მას ერთბაშად ვერ ჩაება რევოლიუციაში სხვა ქვეყნები. ხოლო ინდოეთში და ჩინეთში დაწყებული რევოლიუცია უკვე ამ თავითვე ებმება რევოლიუციონურ ბრძოლაში, რევოლიუციონურ მოძრაობაში, საერთაშორისო რევოლიუციაში“ (ლენინი 1922 წ. „პრავდას“-ს 10 წლის იუბილესათვის, ტომი მე-XVIII-ე, ნაწილი მეორე, გვ. 74).

კოლონიალური ქვეყნები დგანან თავიანთი 1905 წლის წინაშე. ასეთია დასკვნა.

ასეთია იმ რეზოლიუციების აზრი, რომელიც მიიღო კომინტერნის გაფართოებულმა პლენუმმა კოლონიალური საკითხის შესახებ.

(დასასრული იქნება)

## კვაჭი კვაჭანტირაძე ამერიკაში

### ვასილ დუმბაძე „ტურ ამეოსი-კოსტოვის „წიო-ბაზე“

**მოსკოვი, 12** [illegible]

## ფინეთის მთავრობა გოდიეშ იხდის

**ჰელსინგფორსი, 12 მაისი.** საბჭოთა კავშირის გაზეთებში ამას წინად გამოქვეყნებული იყო ცნობა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჰქონდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ჩიჩერინს ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან იმ ცნობილი სიტყვის გარშემო, რომელიც წარმოსთქვა ფინეთის ელჩმა ლონდონში დონერმა. ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებმა ამის გამო მიმართეს განმარტებისათვის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელმაც შემდეგი განაცხადა: „ამ სიტყვას ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ“. შენიშნაზე, რომ განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა კავშირში მიაქციეს დონერის განცხადებას იმის შესახებ, რომ „მას არ სურს არაფერი საერთო ჰქონდეს რუსეთთანო“, გარეშე საქმეთა მინისტრმა იდმანმა უპასუხა: „ეს ფრაზა ვერ იყო მოხერხებულად ნათქვამი. ასეთი უხეირო გამოთქმისათვის არ შეიძლება ფინეთის მთავრობა ჩაითვალოს პასუხისმგებლად“. ამასთან მინისტრმა დასძინა, რომ ეს განცხადება არ მოეწონათ ქვეყნის ფართო წრეებსო.

## ყვითლები კაპიტალიზმის ტახტს ამაგრებენ

### მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილებები

**პარიზი, 11 მაისი.** მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მხარს უჭერს ჟენევის ოქმში წამოყენებულ პრინციპებს და ენერგიულ პროპაგანდას ოქმის დამტკიცების სასარგებლოთ. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა დაავალა სეკრეტარიატს მოიწვიოს კონფერენცია იმ მიზნით, რათა განსაზღვროს მეორე ინტერნაციონალის პოზიცია უშიშროების პრობლემის შემდეგ განვითარებასთან დაკავშირებით.

ბალკანეთის სოციალისტურ პარტიების კონფერენცია ახლო მომავალში იქნება მოწვეული პრაგაში.

ოტტო ბაუერის მოხსენების შემდეგ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რათა მეორე ინტერნაციონალის სექციებმა განსაკუთრებით, საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის სექციებმა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა მიაღწიონ 8 საათის სამუშაო დღის შეთანხმების დამტკიცებას, აღმასკომმა დაადგინა აგრეთვე წინადადება მისცეს მეორე ინტერნაციონალის მომხრე ყველა პარტიებს გამოსთქვან თავიანთი აზრი კაპიტალისტურ სახელმწიფოების მთავრობებში სოციალისტების მონაწილეობის შესახებ.

## პროვოკატორების რესპუბლიკაში

### პარტიზანების სიკვდილით დასჯა

**ვარშავა. 11 მაისი.** საოლქო სასამართლომ ლენიცში ახალგაზრდა გლეხებს პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობისათვის დახვრეტა მიუსაჯა. **პრეზიდენტმა უარი განაცხადა მათ ამნისტიაზე. განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში.**

### უკრაინელ დეპუტატების საქმე.

**ვარშავა. 11 მაისი.** 15 დღის მორჩენის შემდეგ კოვნოში დამთავრდა უკრაინელ დეპუტატების ვასინჩუკის, კოზიცკის და ჩუჩმაის პროცესი. ვასინჩუკს მიუსაჯეს ერთი წლის კატორღა, ჩუჩმაის—2 წლის, კოზიცკის—1 წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება. განაჩენმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა პროცესზე დამსწრე უკრაინელ გლეხებზე.

### ტროიანოვსკი ათი წელია ჯაშუშობას ეწევა

**ვარშავა, 12 მაისი.** აფეთქების დროს დაჭერილ პროვოკატორ ტროიანოვსკის ჯანმრთელობის გამოკეთების გამო, ის საავადმყოფოდან გადაიყვანეს მაკატოვის ციხეში.

პოლონეთის „ოხრანკის“ უფროსმა რონტკევიჩმა განაცხადა, რომ აპრილის ბოლო რიცხვებში ტროიანოვსკიმ მას აცნობა, რომ ორგანიზაცია, რომელსაც ის ეკუთვნის, თითქოს ამზადებდა თავდასხმას პონტკევიჩზე და ცეხნოვსკიზე. ამ მიზნით, თითქოს, პარტიამ მას დაავალა ყუმბარების დამზადება. **პონტკევიჩმა აღნიშნა, რომ ტროიანოვსკი უკვე ათი წელიწადია „ოხრანკაში“ მუშაობს.** ამას წინათ მან ინსტრუქცია მიიღო, რომ თვალყური ედევნებია დამოუკიდებელი გლეხთა პარტიის მოქმედებისათვის

გაზ. „კომუნისტი“ [illegible]

1. კოლექტიური ხელისმოწერა [illegible]

2. [illegible]

3. კოლექტიური ხელისმომწერთა სიები [illegible]

4. გაზეთების გამოწერის დროს [illegible]

5. კორესპონდენტებისა და [illegible]

6. გაზეთის მიუღებლობის შესახებ [illegible]

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

## დღეს იხსნება საკავშირო საბჭოთა ყრილობა

**მოსკოვი, 12 მაისი.** [illegible]

## ჰინდენბურგის მოსვლა ბერლინში

**ბერლინი, 12 მაისი.** 11 მაისს [illegible] იდგნენ პოლიციელთა რაზმები და ყარაულები. ჰაერში დაფრინავდა პოლიციის ჰაეროპლანები.

ქუჩების ორივე მხარეზე იდგენ შავ თეთრ-წითელ (მონარქისტული) [illegible]

მუშათა რაიონებში კომუნისტებმა გამართეს მიტინგები, სადაც ორატორები აღნიშნავდენ იმას, თუ რამდენად სახიფათოა მშრომელთათვის ჰინდენბურგი.

## სოციალ-დემოკრატიის ბელადები—მექრთამეები

**ბერლინი, 11 მაისი.** ბერლინის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბარმატის მიწერ-მოწერა ცნობილ სოციალ-დემოკრატ გეიმანთან და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ოტტო ველსთან **იმ ქრთამის შესახებ, რომელსაც იღებდა ცნობილი სოციალ-დემოკრატი გუსტავ ბაუერი; ამ უკანასკნელს ეჭირა მინისტრის და რეიხსკანცლერის თანამდებობა და ის ქრთამს იღებდა იმ დახმარებისათვის, რომელსაც ის უწევდა ბარმატს მის სპეკულიაციებში.**

გამოქვეყნებული წერილები ამტკიცებენ, რომ გეიმანს და ველსს ჰქონდათ ცნობები ბარმატის და ბაუერის საქმეების შესახებ.

მაგრამ, „ფორვერტს“-ი განაგრძობს მტკიცებას, რომ სოციალ-დემოკრატიული ბელადების დამოკიდებულება ბარმატისადმი უმწიკვლო იყო.

## ბელგიის ახალი პრემიერი

**პარიზი. 11 მაისი.** ბელგიის ახალი პრემიერი ვანდევაივერი, არის ცნობილი გენერალ დოუესის პირადი მეგობარი, **მორგანის ბანკის რწმუნებული ბელგიაში.** ვანდევაივერი შეეცდება მიაღწიოს თანამშრომლობას არა მარტო ტენისის მთავრობის ყოფილ კათოლიკ მინისტრებთან, არამედ ყველა გამოჩენილ საქმიან მოხელეებთან, რომელნიც სარგებლობენ ლიბერალური პარტიის ნდობით. ეს პარტია კი მხარს დაუჭერს მას.

## საქალაქო არჩევნები პარიზში

**პარიზი, 14 მაისი.** „ჰავასის“ საგენტო იძლევა სტატისტიკურ ცნობებს საქალაქო არჩევნების და პარიზის ქალაქის საბჭოს შემადგენლობის შესახებ. არჩევნების შედეგები 379 საოლქო ცენტრებში ასეთია: კომუნისტები—11, სოციალისტები—42, რესპუბლიკანელ-სოციალისტები—8, რადიკალ სოციალისტები—92, რესპუბლიკანელი რადიკალები—13, მემარცხენე რესპუბლიკანელები—51, ზომიერი რესპუბლიკანელები—62, რესპუბლიკანელები—10.

მთელი საფრანგეთის პრესა რეაქციონურიც კი იძულებულია აღიაროს, **რომ საქალაქო არჩევნებში ხელმეორეთ კენჭისყრამ კიდევ უფრო მეტად გამოააშკარავა მემარცხენე ბლოკის განსაკუთრებით სოციალისტების გამარჯვება.** რეაქციონული პრესა სასტიკად ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ, **რომელთა ტაქტიკამ გამოიწვია ნაციონალური ბლოკის დამარცხება** და აგრეთვე ჰკიცხავს მემარცხენე ბლოკს, რომელსაც ბრალს სდებს, თითქოს მან ისარგებლა კომუნისტების ხმებით. **განმეორებითი კენჭის ყრა წარმატებით ჩატარდა კომუნისტებისათვის, რაც „მატენის“ აზრითაც კი, ამტკიცებს კომუნისტების მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას პირველ კენჭის ყრასთან შედარებით.**

## ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

**მოსკოვი. 12 მაისი.** 11 მაისს შესდგა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი ბულგარეთის რევოლიუციონერი მუშების და გლეხების ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ.

მიტინგის გახსნამდი სახელმწიფო ცირკის შენობასთან მრავლათ მოიყარა თავი მოსკოვის ყველა რაიონების მუშების და რემესლის წევრების რაზმებმა დროშებით და პლაკატებით, რომლებზედაც დახატული იყო ბულგარეთის შავი რაზმის ბელადის—ცანკოვის კარიკატურული სურათები. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ბულგარეთის მშრომელების მხეცური დევნა-წამების წინააღმდეგ.

**მიტინგ-დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცმა. დემონსტრაცია გაგრძელდა შუაღამემდი.**

## მაროკკოში

**პარიზი. 11 მაისი.** „ჰავასის“ სააგენტო იუწყება, რომ კომპეტენტურ წრეებში უარყოფენ ცნობას, რომ თითქოს განხილული იქნა საკითხი მაროკკოში საფრანგეთის და ესპანეთის გაერთიანებულ სამხედრო მოქმედებათა შესახებ.

**პარიზი. 11 მაისი.** ალჟირიდან და საფრანგეთიდან მაროკკოში დამხმარე ძალების გაგზავნა, რუსეთში მყოფ სამხედრო მისიის ყოფილ უფროსის გენერალ ნისსელის გამგზავრება, რომელიც დაინიშნა მაროკკოს საავიაციო სამსახურის ინსპექტორად, პენლევეს განცხადება იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს სასტიკად ჩააქროს ამბოხება და აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ მეამბოხეთა მეთაურის ძმამ აბდულ ქერიმმა გამოაცხადა სამღვთო ომი—ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ ახლო **მომავალში სამხედრო მოქმედება ფართო მასშტაბით იწარმოებს.** დორიო „იუმანიტეში“ კომპარტიის სახელით პროტესტს აცხადებს რიფელების ტომის თავისუფლების შელახვის წინააღმდეგ.

# ჩვენი სოფლის ქირ-ვარამი

## დასაჯეთ გლეხკომის ასეთი თავმჯდომარე!

(სოფ. აბალსოფელი, თბილისის მაზრა)

აბალსოფელში არის დაახლოებით 200 კომლი. ამ სოფელში არსებობს გლეხკომი. გლეხკომის თავმჯდომარეთ არის შაქრო მარტიაშვილი და წევრად ამხ. შაქრო კუნელაური.

ამ სოფელში მცხოვრებ ღარიბ გლეხს უკანასკნელ გაჭირვების დროს უთხოვნია გლეხკომის თავმჯდომარისთვის, რათა მიეცა სესხის სახით 10-დან 20 გირვანქამდი პური; მაგრამ უკანასკნელისაგან (ე. ი. თავმჯდომარესაგან) ცივი უარი მიუღია. შემდეგ, რომ ცოლ-შვილი სიმშილისაგან ეხსნა, სხვა გამოსავალი გზა ვერ უპოვნია, გადაუწყვეტია ერთი ძროხის მოხნული ყანის გაყიდვა, რომელიც მას ჰქონია. გლეხკომის თავმჯდომარეს რომ ეს გაუგია, ამდგარა და უყიდნია ამ გლეხისაგან ეს ყანა ხუთმეტ მანეთად. ასეთი საქმეები სხვაც ჩაუდენია გლეხკომის თავმჯდომარეს. ამიტომ დროზე უნდა იქნას სათანადო ზომები მიღებული. ასეთი თავმჯდომარეები უნდა იქნან სასტიკად დასჯილნი. ვთხოვთ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს მიიღოს სათანადო ზომები.

სანდრო მიგრიაული.

## ახლა შეხედეთ აღმასკომის თავმჯდომარეს!

### საჭიროა რკინის ცოცხი

(ქოლოგნის თემი, სენაკის მაზრა)

როდესაც საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრად დღეს გადაქცეულია სოფელი და მშრომელი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რაშიაც მთავარი როლი უნდა ითამაშოს თემაღმასკომებმა, სინამდვილეში სხვა რამე ხდება.

აღმასკომის შემადგენლობა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც არ არის დაინტერესებული სოფლის ჭირ-ვარამით. თავიანთ თანამდებობებს უყურებენ ჩინოვნიკურად და არ სთვლიან თავს პასუხისმგებლებათ. ხშირი არის შემთხვევები, რომ აღმასკომის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი ყოყოჩობენ თავიანთი თანამდებობებით, დროს ატარებენ ქეიფში. უშვერი სიტყვებით და ბრძანებით მიმართავენ მშრომელთ, კიცხავენ უბრალოთ, კერძო საქმეებისათვის იყენებენ აღმასკომის დარაჯებს, რაც ხშირათ მოგვაგონებს „ნიკოლოზის“ დროის მამასახლისებს.

აი ასეთი ცოდვებით უნდა დავახასიათოთ ქოლოგნის თემის აღმასკომის თავმჯდომარე რაჟდენ რუხაძე, რომელსაც ხშირად დაინახავთ მთვრალს და ცუდი საქციელით. ამ წლის 21 მარტს, წითელ „ნუნუათი“ გალეშილი, მაუზერით ხ...ში, საოცარ სანახაობას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა ასეთი საქციელი არ არის მოსაწონი, მაგრამ ეს არ იკმარა რუხაძემ; მოვიდა თუ არა სამმართველოში, ბრძანების კილოთი მიმართა აღმასკომის მდივანს ამხ. ბუხუტი მიქაძეს, რათა დაუყოვნებლივ დაეთხოვათ სამსახურიდან ამავე აღმასკომის დარაჯი ამხ. ნიკოლ საფარ-ოღლი, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. თუმცა-ღა ამხ. მიქაძე დაჰპირდა რუხაძეს, რომ სისრულეში მოიყვანდა მის ბრძანებას, მაგრამ მან იცოდა, თუ რა კილოთი ფახფახებდა ბ. რუხაძე.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ხსენებულ დარაჯს ნიკოლ საფაროღლის არ აუსრულებია თავმჯდომარის ბრძანება, ემუშავნა რუხაძის ოჯახში. ბატონი რუხაძე ჩვეულია ასეთებს, ის ხშირად დარაჯებს ამუშავებდა თავის ოჯახში. რუხაძე შეპყრობილია ბურჟუაზიული სულისკვეთებით. ის ნიკოლოზის დროს მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი გახლდათ და ჯალათ კოწია ცომაიას მარჯვენა ხელი.

საერთოდ საჭიროა სასტიკი გამოძიება, სადაც ყოველივე აღმოჩნდება და რკინის ცოცხით გაიხვეტება ასეთი აღმასკომის თავმჯდომარე.

გლეხკორი ელვა.

## მოგვაშორეთ იაშა ჟორდანია სანამ შეგვჭამდეს!

(სურების რაიონი)

სურების რაიონი (გურია) მდიდარია ხე-ტყით. მისი მაღალი მთები „შუა-გორა“ და „საჩისლია“, რომლებიც გაჭიმულნი არიან თვით სურების რაიონიდან საბალახო მთებამდე, მდიდარი არიან განსაკუთრებით ნაძვისა და ფიჭვის ტყეებით. მაგრამ, რადგან ეს ტყეები მოშორებული არიან ცენტრზე, უგზოობის გამო მოუხერხებელი შეიქნა ამ ქონების ფართო მოხმარა. მხოლოდ ადგილობრივი გლეხები ამუშავებენ ტყეებში ყავარს და ცხენებით გააქვთ მახლობელ ბაზრებზე გასაყიდათ.

აი სწორედ ამ სიმდიდრის ე. ი. ამ ტყეების მცველათ (ტყის დარაჯათ) დანიშნულია მოქ. იაშა ჟორდანია, რომელიც სამი წელია უკვე რაც მსახურებს.

ეს ვაჟბატონი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რათა მარცხენა ჯიბე გაისქელოს და მეტი მოგება ნახოს:

იღებს ქრთამებს, რომლის მაგალითი არა ერთი და ორია.

ართმევს გლეხებს ფულს, თითქოს ბილეთის ფასათ და შემდეგ უარს ეუბნება.

შეკითხვის დროს, თუ რისთვის არ მოუტანა გლეხს ბილეთი, ამბობს: „შენ, რა გენაღვლება კაცო, წადი იმუშავე, მე არ დაგიჭერ და არც არავის დავაჭერინებ შენს თავს და რას ჩივიო“.

რასაკვირველია ბატონი ჟორდანია ამ ფულებს ბილეთების ყიდვის მაგივრათ ჯიბეში იდებს და სახელმწიფო ქონებას ფლანგავს თავის გემოზედ.

ხსენებულ ჟორდანიაზე მრავალი ოქმები დაიწერა და გადიგზავნა მაზრაში, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია.

ბოლოს შემთხვევით თბილისიდან ამხ. თ. ჟღენტის მონაწილეობით ჩამოვიდა კომისია, რომელიც, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარებით, ისე თვით საზოგადოებაში (მასიურ კრებაზე) ნათლად გაერკვნენ ჟორდანიას საძმირო საქმეებში და აღუთქვეს ხალხს მისი მოშორება, მაგრამ მიუხედავათ ასეთი დაპირებისა, როცა ხალხს ეგონა, რომ ჟორდანია თუ არ დახვრიტეს ციხეში მაინც დიდი ხნით ჩააჯდებენო, ისევ მოევლინა საზოგადოებას და განაგრძობს „საშვილიშვილო საქმეებს“.

თან ეუბნება გლეხებს:

„თქვენ ვინ გკითხავს, რა თქვენი საქმეა; მე და მაზრამ ვიცით, გამცით, მაგრამ მე გაუჯრებიებთ თქვენს სეირსო“.

საჭიროა ვიცოდეთ ვინ სწყალობს ვაჟბატონ ჟორდანიას ამ მაზრიდან.

მოგვაშორეთ ჟორდანია, სანამ შეგვჭამდეს!

ამირ-ბარი.

# ქრონიკა

### საქართველოს ექიმთა სამეცნიერო კონგრესი

ა | წ. 24 მაისს, ქართველ ექიმთა საზოგადოება იწვევს ქალ. თბილისში სრულიად საქართველოს მე-3-მე ექიმთა სამეცნიერო კონგრესს. საპროგრამო საკითხებად გამოცხადებულია ტუბერკულიოზი და ათაშანგი (სიფილისი). კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტში შედიან პროფესორები: მუხაძე, წინამძღვრიშვილი, ალადაშვილი, გოგიტიძე, ვირსალაძე, თიკანაძე, ღამბარაშვილი და ექიმები კ. ლორთქიფანიძე, გიორგი რუსიშვილი. ექიმებს, რომელთაც სურთ კონგრესზე მოხსენების წაკითხვა უნდა მიმართონ კომიტეტის თავმჯდომარეს პროფ. გრ. მუხაძეს ან და კომიტეტის მდივანს ექ. გიორგი რუსიშვილს.

— **ტყის გამოკვლევა.** გომბორის რაიონში მიემგზავრება განსაკუთრებული კომისია პროფ. ქურდიანის მეთაურობით. კომისიის მიზანია გამოიკვლიოს გომბორის სატყეოების დამუშავების საკითხები.

— **ქარხნის ამუშავება.** სა-ბა „აბრეშუმს“ გადაწყვეტილი აქვს აილოს სამტრედიაში მდებარე ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა და აამუშაოს საკუთარი ძალებით.

— **გლეხკომების ცენტრ.** კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა საგაზრო აღმასკომების ხარჯზე დაამზადოს გლეხკომების საწერო წიგნაკები.

— **ტრამვაის სამმართველომ** რუსეთის ქარხანა „იუგოსტალიდან“ მიიღო ცნობა, რომ თბილისის ტრამვაისათვის უკვე დამზადებულია დაკვეთილ ლიანდაგის ნაწილი 64 ათასი მან.

— **ინვალიდთა არტელის კლუბს** „ახალ წრე“-ს ქ. აღკასკომმა აპატია საერთო ფულის რაოდენობიდან 10,000 მან.

— **სკოლების შეკეთება.** ქ. აღმასკომმა მაზრებში დაწყებულ სკოლების შენობათა დასამთავრებლად და შესაკეთებლად გადასდო 17,708 მან.

— **ნათესების მდგომარეობის გამოსარკვევად** მაზრებში, ქ. აღმასკომმა შეადგინა კომისია ამხ. ამხ. სუხიშვილს, ადიკაშვილის, ვაჭაძის, ასრიევის, სალბონის, ცეკავშირის და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენლის შემადგენლობით.

— **კულტ-მუშაობის გაცხოველება.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა კულტ-მუშაობის გასაცხოველებლათ გამოიყენოს კავშირების კლუბები და პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს დაწესებულებები.

— **შრომის ინსპექტორის კამერა** ახლო ხანში გაიხსნება სენაკში.

— **შრომის კოლექტივების რევიზია.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა შემოიღოს შრომის კოლექტივების რევიზია.

— **ჰაეროპლანების შეკეთება.** ა | ქ. საავიაციო საზოგადოებამ შეაკეთა 2 ჰაეროპლანი, რომლებითაც იწარმოებს ფრენა ზაფხულში სხვადასხვა აგარაკებზე.

— **ციციანოვის აღმართზე** უკვე დაამთავრეს ტრამვაისათვის სათადარიგო ლიანდაგის დაგება.

— **უმუშევარ მიწისმზომელებს** შეუძლიათ წავიდენ სამუშაოდ საბჭოთა უზბეკისტანში, სადაც დიდი მოთხოვნილებაა მიწის მზომელებისა.

— **თბ. დამზღვევმა სალაროთ** თავის დროზე დასაზღვევი გადასახადის შემოუტანლობის გამო აპრილში შემოუვიდა დამატებით 4474 მ. ჯარიმა.

— **ჯანსახკომის** კბილის საექიმო სექციამ გადაწყვიტა მოახდინოს მოწაფეთა კბილ-ხახას გამოკვლევასა და შემოწმება.

— **სიკვდილიანობის** შემთხვევების გამო დამზღვევ კასამ დახმარების სახით გასცა აპრილში 2.130 მან.

— **საქსოვი ქარხანა.** შრომის ბირჟას გადაწყვეტილი აქვს ახლო ხანში თბილისში გახსნას საქსოვი ქარხანა, სადაც იმუშავებს 40 უმუშევარი.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 14 მაისს, საღამოს 8 სათ. საქართვ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება მორიგი კრება ქართველ ექიმთა საზოგადოებისა. 1. დოცენტი მ. ასათიანი.— ფსიხოპატიური კონსტიტუციები. 2. ექ. ა. წულუკიძე.—დიდი ბადექონის ზოგიერთი დამცველობითი თვისებები.

— **საქ. ტეხნიკურ საზოგადოებაში.** საქ. ტეხნიკ. საზოგადოებაში (ტეხნიკური სასწავლებელი ქამოს ქ.) კვირას, 17 მაისს იხკ. ვ. ახვლედიანი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: 1) „მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის განვითარების მეთოდები და საშუალებანი საქართველოში“, 2) „ცეკავშირის აბრეშუმის სართავ-საქსოვი ქარხნები“.

მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება, ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში დამზადებული 1000 მეტრი სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილები. მოხსენება საჯაროა და შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ პირებს დასწრება.

# მუშათა ცხოვრება

### ორიოდე სიტყვა კოჯორის აგარაკებზე

(თბილ. ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

—„ამ დღეებში გაიხსნება კოჯორის აგარაკები და ჩვენ, ხელმოკლე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებს, საშუალება მიეცემათ შეძლების დაგვარად დაისვენონ იქ ზაფხულის პაპანაქება-ში-ო“,—სიხარულით ამბობდა ერთ-ერთ ჩვენი მუშკორების კრებაზე ერთი ხანშესული მუშკორი ამხ. ივანე. „ჩვენ ყველანი ამ ამბავს სიხარულით ვეგებებით, ამხ. ვანო!“,—უპასუხა ამხ პეტრემ,—„მაგრამ, მგონი, კოჯრით წრეულს ჩვენ ვერ ვისარგებლებთ, ვინაიდან ძალიან დიდი ფასებია დაწესებული ოთახებზეო“...

მართალიც, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ კოჯორის აგარაკებზე აღმასკომის მიერ დაწესებულია ძალიან დიდი ფასები: საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატიულ არშინზე იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, ვინც თვიურად იღებენ 75 მანეთამდე—დაუწესებიათ ერთი მანეთი; იმათთვის კი, ვინც ამაზე მეტს იღებენ, მანეთნახევარი.

ასეთი ქირა, ჩვენის აზრით, ძალზე მეტია; მის გადახდას ძალიან იშვიათად ვინმე შესძლებს ხოლმე. უმრავლესობა კი კოჯრით მომავალ სეზონში ვერ ისარგებლებს, რაც ჩვენის ღრმა რწმენით, მიუღებელია და დაუშვებელიც.

მოაგარაკენი, ჩვენის აზრით, უნდა დავყოთ სამ კატეგორიებად: პირველ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისინი, ვინც თვიურად იღებენ არა უმეტეს 30 მანეთისა და მათ არ უნდა გადახდეთ თვითეულ კვად. არშინზე ხუთ შაურზე ზევით; მეორე კატეგორიას—60 მან. მიმღები მუშა-მოსამსახურენი; ამათ არ უნდა გადახდეთ კვად. არშინზე ნახევარ მანეთზე ზევით; მესამე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისინი, ვინც თვიურად იღებენ არა უმეტეს 120 მანეთისა და ამ უკანასკნელთ კვად. არშინზე არ უნდა გადახდეთ ერთ მანეთზე ზევით და სხ.

თუ ასეთი შეღავათები არ იქნა დაშვებული კოჯრის აგარაკებით სარგებლობაში, ჩვენ მათ ვერ გამოვიყენებთ.

„ნეპის“ ულმობელი კომერციული მოსაზრებანი აღმასკომმა უნდა დასთმოს ჩვენი მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების პაწია წავრთა ჯანმრთელობის შენარჩუნება აღდგენის მიზნით. ეს კი იქნება ჩვენთვის დაუფასებელი დახმარება.

ამას გარდა კოჯრის თავლა ქე-ბ, რომელნიც წარსულ სეზონის განმავლობაში ჩვენი მოაგარაკე ბავშვებისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, უნდა მოაწესრიგოთ თავიდანვე.

ნუ ართულებთ აგარაკებზე ორდერების დროზე გაცემას; მიეცით მუშა-მოსამსახურეთ საშუალება, რომ ნაწილობრივ შეიტანონ აგარაკის ფული ქალაქ. სალაროში და სხ.

მუშკორი დენინელი

### პასუხათ მოსე ცინცაძეს

„კომუნისტი“-ს 10 მაისის № 105 მოთავსებულია მოსე ცინცაძის წერილი, „ახალი მოდის დერჟიმორდები“. ამ წერილში ავტორი სრულიად დაუსაბუთებლად უწყრება განათლების კომისარიატის წესებს და განსაკუთრებით მის თანამშრომლებს.

მართალია, ამხ. მოსე ცინცაძე შემოვიდა კომისარიატში, კომისარიატის კომენდატურაში. სწორედ ამ დროს კომენდატურაში მას კომენდანტი არ დახვდა, მაგრამ მან მოითხოვა კომენდანტის ნახვა. დარაჯებმა მოთხოვნილებისთანავე გამოიწვიეს კომენდანტი. კომენდანტის შესვლისას ამხ. ცინცაძე უკვე იდგა ელსმენთან და ვიღაცას ეძახოდა აპარატთან; როგორც ბოლოს გამოირკვა, ის ინსპექციას ეძახოდა სანამ ელსმენით ლაპარაკს გაათავებდა, მან რამდენჯერმე უდიერი სიტყვებით მოიხსენია განათლების კომისარიატი საერთოდ და ბრალი დასდო მას დროის უწესო გაწესრიგებაში არამც თუ მარტო კომისარიატის კომენდანტს, არამედ კომისარიატის პასუხისმგებელ ამხანაგებსაც, და იმუქრებოდა. ასეთი მუქარით ის გავიდა კომენდანტის ოთახიდან.

ამ ფაქტის შემდეგ სჩანს, რომ კომენდანტის მიერ ოთახში ლანძღვაგინებას არ ჰქონია ადგილი. ავტორს არ უნდა დაემახინჯებია ფაქტები. სჩანს, რომ დარაჯების ლაპარაკი ავტორმა ან ვერ გაიგო, ან არ უნდოდა გაეგო. ავტორს კარგად შეეძლო ეკითხა კომენდანტისათვის კომისართან შესვლის პირობები მით უმეტეს, რომ კომისარის კაბინეტი კომენდანტის ოთახის გვერდშია.

მაგრამ ამგვარი არაფერი არ მოინდომა ამხ. ცინცაძემ და ისეთი წერილი შეთხზა, რომ თვით ეს წერის კილო და ფაქტების დამახინჯება უკარგავს ავტორს ყოველივე ნდობას და სიმართლის გაშუქებას განათლების კომისარიატის იმ თანამშრომლებში, რომლებიც ამ ფაქტის მონაწილენი იყვნენ... [illegible] სინამდვილით და სისწორით გათვალისწინება შეიძლება იმ ოქმის მიხედვით, რომელიც შედგენილია ამ „ინციდენტის“ დროს 5 თანამშრომლის თანადასწრებით და ხელისმოწერით.

საზოგადოთ კულტურულ კაცისათვის ფაქტების შებრუნება ლანძღვაგინებაზე უარესია, რასაც ავტორმა უსათუოდ თავი უნდა დაანებოს მომავალში.

ორგანცენტრის გამგე მამულაიშვილი.

### დაგვიხსენით ქურდებისაგან

(მე-5 კომისარიატის საყურადღებოდ)

მე-5 რაიონში (ხარფუხში) ქურდობა ძალიან გახშირდა. ამ უბანს ღამეობით მხოლოდ ერთი მეეზოვე ყარაულობს და ქურდებთან რას გახდება!

საჭიროა მე-5 კომისარიატმა ყურადღება მიაქციოს და ქურდების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს.

მუშკორი კალაშის—ლი.

### მოგვაშორეთ ეს მასწავლებელი

(ოზურგეთის განათ. განყოფ. საყურადღებოდ)

ქ. ოზურგეთის ცხრაწლედში არის მასწავლებლად ვ. ხელაძე, რომელიც ხონის სემინარიის 1-ლ კლასიდან არის გამოძევებული და თავი კი პეტროგრადის უნივერსიტეტის კურს დამთავრებულად და ბერლინის მე-4 კურსის მსმენელად მოაქვს. თავის საქციელით ის ღირსი არის შავ დაფაზე იყოს გაკრული, როგორც მასწავლებლის სახელის გამტეხი. ის სასწავლებელში გარყვნილებასაც ხელს უწყობს.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და ბ-ნ ხელაძის ვინაობის გამორკვევა.

ა. ადგილობრივი.

### ხაშურის კინოს მუშაობა

ხაშურის (შ. ორახელაშვილის სახელობის) კინოში აჩვენებენ ამერიკულ ტრიუკების სურათებს, რომელიც იქაურ აუდიტორიისათვის მიუხაშეუწონელია.

საჭიროა კინოს გამგეობამ მომავალ სეზონისათვის შეიძინოს ის სურათები, რომელთაც სახელმ. კინო-მრეწველობანი ამუშავებენ.

საჭიროა აგრეთვე მიექცეს ყურადღება იმ მოვლენას, რომ ხშირად შეუძლებელი ხდება სურათების ყურება უსინათლობის გამო.

მუშკორი გ. უხილავი.

# ეკონომიური ცხოვრება

### ელექტრობანკის განყოფილება თბილისში

მაისის მეორე ნახევარში თბილისში გაიხსნება საელექტროფიკაციო სააქციონერო ბანკის—„ელექტრობანკის“—ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება.

ბანკის განყოფილების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ფინანსიური დახმარების გაწევა საელექტროფიკაციო მუშაობისათვის.

განყოფილების გახსნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერ-კავკასიისათვის, სადაც საელექტრიფიკაციო მუშაობა ფართო ხასიათს ღებულობს, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა.

თავის მუშაობას ელექტროფიკაციისათვის ფინანსების მიწოდების დარგში ა | ქ. განყოფილება შეუთანხმებს საოლქო და რესპუბლიკანურ საგეგმო და მომწესრიგებელ ორგანოებს.

საოლქო განყოფილების საზრუნავი საშუალები შეფარდებული იქნება ადგილობრივ მოთხოვნილებებთან.

საერთოდ ელექტრო-ბანკის განყოფილება განავითარებს ყველა იმ ოპერაციებს, რომლებიც გათვალისწინებულია ელექტრობანკის წესდებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საელექტროფიკაციო წარმოებებს და ელექტრომრეწველობის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული აგრეთვე „ზაჰესის“ მუშაობას.

განყოფილების მუშაობა ელექტროფიკაციისათვის ფინანსების მოწოდების დარგში იწარმოებს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ცალ-ცალკე პერიოდისათვის და აგებულია წმინდა კომერციულ საფუძველზე. სათანადო ყურადღება მიექცევა აგრეთვე ქვეყნის რადიფიკაციის საქმესაც.

თბილისში ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილების გახსნის შემდეგ განზრახულია ფილიალების გახსნა ბაქოში, რომელიც საოლქო განყოფილების ხელმძღვანელობით განავითარებს ასეთივე მუშაობას აზერბეიჯანში.

ელექტრობანკის განყოფილების გახსნას ამიერ-კავკასიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ საელექტროფიკაციო ორგანიზაციები ამიერ-კავკასიაში მიიღებენ ერთგვარ ფინანსიურ დახმარებას, არამედ იმიტომაც, რომ თვით საელექტროფიკაციო მუშაობას მიეცემა უფრო გეგმიანი და მთლიანი ხასიათი.

# პარტიული ცხოვრება

### ქალთა შორის მუშაობის შესახებ

მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების საკითხი დღეს ერთ-ერთი მორიგი საკითხთაგანია პარტიის და კომკავშირის წინაშე.

თვით ის ფაქტი, რომ ჩატარებულ საბჭოთა არჩევნებში ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ და საბჭოს წევრებათაც გავიდნენ, ნათლად ამტკიცებს იმას, რომ მშრომელი გლეხი-ქალები თავს აღწევენ ოჯახში კარჩაკეტილობას.

ცხადია, ერთბაშად ყველაფერს ვერ გავაკეთებთ და მით უმეტეს ქალთა შორის მუშაობის სფეროში. ამიტომაც ქალთა შორის მუშაობაც უნდა ატარებდეს ნელ, მაგრამ ხანგრძლივ და სისტემატიურ ხასიათს.

მაგრამ როგორ და რა გზით უნდა წარიმართოს ამ მიმართულებით მუშაობა? აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ყველაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ამხანაგ ქალებს და ქალიშვილებს, რომლებიც პარტიაში და კომკავშირში ირიცხებიან. ესენი არიან ყველაზე უფრო აქტიური და ყველაზე უფრო მოწინავე ქალთა წრიდან. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ამხანაგ-ქალები ნაკლებად არიან ჩაბმული პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში; ისინი პოლიტცოდნითაც დაბლა დგანან. ეს გარემოება ჩვენგან მოითხოვს მეტად სერიოზულ ყურადღებას. ჩვენ აუცილებლად ხელი უნდა შევუწყოთ ქალთა წრიდან სათანადო აქტივის შექმნას.

ამ მიზნით საჭირო არის, რათა ჩვენი პარტიის და კომკავშირის აქტიურმა წევრებმა გააკეთონ, თუ ყოველთვის არა ხანდახან მაინც, ქალთა წრეში მოხსენებები ქალთა საერთაშორისო მოძრაობის, მისი ამოცანების შესახებ მუშათა კლასის ბრძოლასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ჩვენ საშუალება მოგვეცემა ქალთა წრიდან აქტიური წევრები გადავისროლოთ უპარტიო ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

ყოველ მიზეზს გარეშე პარტიის და კომკავშირის წევრი ქალები და ქალიშვილები მაქსიმალურად უნდა იქნენ გამოყენებული. მარტო ქალთა განყოფილებები ვერაფერს გააკეთებენ, თუ მათ სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეთ, თუ ამ მხრივ არ აჯამოძრავეთ პარტიის და კომკავშირის უჯრედები.

ქ. წ.

## ვანის თემის კომუჯრედი

ზემოაღნიშნული კომუჯრედი დაარსდა 1921 წ. უჯრედში სულ 9 პარტიის წევრი და 7 პარტკანდიდატია, რაც შეეხება უჯრედის კრებებს, ის თვეში ეწყობა 3-ჯერ, 2-რი დახურული და ერთიც ღია. უჯრედის ღია კრებებს ესწრება უპარტიოთა დიდი უმრავლესობა.

კომუჯრედთან არის დაარსებული 1-ლი საფეხურის პოლიტწრე, რომელშიაც ირიცხება 40 ამხანაგი, ამათში 5 ქალი. პოლიტწრეში გადიან პოლიტიკურ ანბანს. წევრები განვლილ მასალას კარგად ითვისებენ. როგორც კომუჯრედს, ისე პოლიტწრეს ხელმძღვანელობს ვანის რაი-პარტ-ინსტრუქტორი ამხ. ნ. კაკაბაძე, რომელიც არის დანიშნული საგაზრო პარტკომის მიერ.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება; სახელდობრ ის, რომ პოლიტწრეში არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც 1921 წლიდან ითვლებიან წრის წევრებათ და მათი პარტიაში გადარიცხვა არ იქნა და ვერ მოხერხდა. ხშირათ გამიგონია ამხანაგებიდან, რომ 5 წელი პოლიტწრეში ვარ და როდის უნდა მოვესწრო პარტ-წევრობასო. საჭირო არის ამას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

პარტკორი ციხისძირელი.

## ხაშურის მოძრაობის დარგის მე-5 კომუჯრედში

ზემოხსენებულ კომუჯრედში ირიცხება 59 წევრი და კანდიდატი, ამათში 1 ქალია.

კომუჯრედის ყველა წევრები იწერენ გაზეთებს და საერთოდ სხვადასხვა ლიტერატურას. მაგრამ უკანასკნელის შეძენა ფერხდება იმით, რომ ადგილობრივ არ იშოვება ასეთები და კომუჯრედი იძულებულია შეიძინოს ის თბილისში. არის შემთხვევები, რომ უჯრედის დავალებით თბილისში მივლინებული ამხანაგი საჭირო ლიტერატურის შესაძენად ბრუნდება ხელცარიელი, ვინაიდან წიგნაკები გაყიდული არის. ამჟამად უჯრედმა მიიღო ზომები და ახლო მომავალში განზრახულია შევიძინოთ ყველა საჭირო სახელმძღვანელოები.

გარდა ამისა მიღებული ზომებით ახლო მომავალში უჯრედი იძენს საკუთარ დროშასაც.

გ.

## მუშის ბიუჯეტი

შრომის სტატისტიკის ა.-კ. ბიურომ დაამთავრა მუშათა და მოსამსახურეთა ბიუჯეტის გამოკვლევა საქართველოში. მასალების შემოწმებამ გამოაშკარავა მუშების და მოსამსახურეების შეგნებული დამოკიდებულება აღწერისადმი. შემოსავალის და გასავალის ჩაწერა სწარმოებდა რეგისტრატორების მეთვალყურეობის ქვეშ სავსებით დაუძალავად.

საბიუჯ... ბლანკები სავსებით შევსებულ... ...რიან, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ სწორი სურათი იმის, რი... და როგორ სცხოვრობს მუშა, როგორი ტემპით იზრდება მისი ნივთიერი უზრუნველყოფა ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდასთან შეფარდებით.

აზერბეიჯანიდან და სომხეთიდანაც მიღებულია სავსებით დამაკმაყოფილებელი ცნობები აღწერის კარგათ დამთავრების შესახებ. სულ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში გამოკვლეულია 380 მეურნეობა.

მასალების დამუშავება მინდობილი აქვთ რესპუბლიკის შრომის სტატისტიკის ბიუროებს, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს ამიერ-კავკასიის შრომის სტატისტიკის ბიურო. ეს უკანასკნელი დაამუშავებს მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა ბიუჯეტს. მასალების დამუშავება იწარმოებს მაისის განმავლობაში და დამთავრდება ივნისის პირველ რიცხვებში.

## საპატიო პიონერი

მეგობრული შარჟი.

მესამე რაიონის პიონერთა კრებამ დაადგინა: თბილისის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსი ამხ. ხმალაძე არჩეული იქნეს საპატიო პიონერად.

(დადგენილებიდან)



# წერილები პროვინციიდან

### კმარა წყლის ნაყვა!

ს. ოცარცე (ზუგდიდის მაზრა)

მდინარე ინგური ზოგიერთ ადგილებში დიდ ზიანს აყენებს მის მიდამოებში მცხოვრებ გლეხობას. ინგური ითვლება აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვრათ. რამდენიმე წლის წინათ სოფელ ოცარცესთან ინგურმა გაიკეთა ახალი გზა სამეგრელოს მხარეზე. მდინარემ თანდათანობით გააფართოვა თავისი ახალი კალაპოტი, რამაც ძლიერ დააზარალა ამახალი კალაპოტის ახლო მცხოვრები გლეხები. გლეხები სრულიად არ მოელოდნენ მდინარის მიერ გზის გამოცვლას. ამ ადგილებში მათ დიდი გაშენებული მამულები ჰქონდათ. მდინარემ კალაპოტის გამოცვლის დროს ყველაფერი ეს თან წაიღო. მაშინდელმა მთავრობამ მიიღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად და შეადგინა მდინარის ძველი გზით წაყვანის გეგმა. სამუშაო 9 წლის ვადით გადაეცა მოიჯარადრეებს. მათ დაიწყეს მუშაობა და აგერ სამი წლის განმავლობაში უფასოდ დაჰყავთ ხარ-კამეჩები და მუშები სამუშაოზე, მაგრამ საქმის დამთავრებას არაფერი ეშველა. სამუშაოზე გაყვანილი გლეხები პირდაპირ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან: მათ არა აქვთ ბინა, არ არის საქონლის თავშესაფარი, ისე რომ გლეხები თავისი საქონლით წვიმა-ავდარში იძულებული არიან ტყეს შეაფარონ თავი.

19 მარტს წყალდიდობამ რამოდენიმე წლის ნამუშევარი სულ ერთიანად წაიღო.

ყველაფერი ეს—წყლის ნაყვა რამდენიმე წლის განმავლობაში—მხოლოდ მოიჯარადრეების ტეხნიკური მოუმზადებლობით აიხსნება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამიერიდან მაინც სათანადო ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ამდენი ხნის განმავლობაში გლეხების უფასო შრომის და სახაზინო ფულების ასე უნაყოფოდ ხარჯვას და საქმის დასამთავრებლად შეიდნე პირებს გამოგზავნიან.

ს. დგებუაძე.

### წითელი სასადილოა თუ სამიკიტნო?

ქვემო-ჭალადიდი (სენაკის მაზრა)

გვეგონა გლეხკომმა სიკეთე ჰქნა და წითელი სასადილო გაგვიხსნა. მაგრამ, დახეთ უბედურებას, სამიკიტნოზე უარესი შეიქნა. დილიდან საღამომდე არის ლოთობა და ღრიანცელი. გლეხი ან მუშა ფულის მიღებისთანავე შედის სასადილოში, აქ კი მას ხვდება „წითელი“ სუფრის გარშემო მჯდარი „ძმა-ბიჭები“, ერთი ჭიქის მიღება და ვალდებულად ჰხდის თავს შემატოს სუფრას თავისი წვლილი—ღვინო. შემდეგ კი მთვრალ მუშებს ეჩხუბება სახლში თავისი ცოლი, რომ მას კაბა არ აცვია და „შენ კი ღვინოთი ილეშებიო“.

საჭიროა ლოთობის საწინააღმდეგო ზომების მიღება. შენ კი, გლეხკომო, ხელს რატომ უწყობ ასეთებს?

მჭუხარე.

### პროფკავშირები მონაწილეობას იღებენ სოფლად კულტურულ მუშაობაში

(დ. ჩხარი)

ა | წ. 4 მაისს ადგ. თეატრში შესდგა დ. ჩხარის საბჭ. მუშაკების და განათლების ადგილკომებში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: „კულტურული მუშაობა სოფლად და ქოხ-სამკითხველოები“, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ანტონ აუშტროვმა. მან აღნიშნა, თუ როგორი მუშაობა უნდა სწარმოებდეს, რომ ჩვენი გლეხობა კულტურულად წინ წავწიოთ და საამისოდ როგორ გამოვიყენოთ მასწავლებლობა, აგრონომები, ექიმები, კომპარტიის და კომკავშირის წევრები და სხვა. აგრეთვე აღნიშნა, თუ ქოხ-სამკითხველოებში და სანიმუშო სამკითხველოებში (რომელიც არსდება ჩხარში) როგორი მუშაობა უნდა სწარმოებდეს.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი პრაქტიკული წინადადებები:

არჩეულ იქნა სხვადასხვა დარგებიდან სანიმუშო სამკითხველოსათვის საბჭო (გამგეობა) 15 კაცისაგან შემდგარი.

შემდეგ კრებამ დაავალა საბჭოს (გამგეობას), რომ სამკითხველოსთან დაარსოს სხვადასხვა წრეები, რომლებისთვისაც კადრი ხელმძღვანელებისა გამოყოფილ უნდა იქნეს თვით საბჭოდან (გამგეობიდან). აგრეთვე დაევალა, რომ სამკითხველოსთან მოაწყოს „ცნობის მაგიდა“, სადაც გლეხობას მიეცემა უფასო დახმარება თხოვნების და განცხადებების დაწერის სახით და სხვა.

სამკითხველოში მოწყობილ უნდა იქნეს ლენინის, წითელი კუთხე და სხვა. გამოშვებული იქნება კედლის გაზეთი და მოეწყობა ლექციები.

დაევალა საბჭოს (გამგეობას), რომ სამკითხველოს მოსაწყობად გამონახოს შესაფერისი შენობა და ეთხოვოს სამაზრო პოლიტგანს ერთდროული დახმარება.

ვაკოპერსი.

### ლაგოდეხი

(სიღნაღის მაზრა)

ლაგოდეხის რაიონი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს კუთხეს. მთელი რაიონი დაფარულია ტყეებით, სადაც მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს მუშაობა, მზადდება აურაცხელი შპალები ამიერ-კავკასიის რკინის გზისათვის. გარდა ამისა აქვე ნახავთ კავშირის სხვადასხვა ხე-ტყის ქარხნების წარმომადგენელთ ბოყვის ხეების, კაკლის ხეების და სხვა საავეჯო მცენარეების გამმზადებლებს. ერთი სიტყვით ზამთარ-ზაფხულს მუშაობა სწარმოებს.

არც ადგილობრივი მეურნეობა ჩამოუვარდება სატყეო მუშაობას. აქ უმთავრესად მისდევენ მეთამბაქოობას, რომელსაც ძალიან დიდი ბაზარი აქვს მთელი კავშირის მასშტაბით.

მიუხედავათ რაიონის ასეთი ბუნებრივ სიმდიდრისა მცხოვრებნი მაინც დიდ გაჭირვებას, განიცდიან, რაც გზების უქონლობით აიხსნება. რკინის გზის ლიანდაგამდე მანძილი აღწევს 40 ვერსს. გზა თითქმის უყურადღებოთაა მიტოვებული, ზამთარში დიდი ტალახების გამო შეუძლებელი ხდება მოგზაურობა, ზაფხულობით ავდრიანი დღეებში ასეთივე მდგომარეობაში აყენებს მგზავრებს.

ლაგოდეხის გზით სარგებლობს ზაქათალის მაზრაც (ადერბეიჯანი), რომელიც დაშორებულია ლაგოდეხიდან 39 ვერსის მანძილზე. ამ მაზრიდანაც აურებელი მგზავრები დაიარებიან, ვინაიდან ეს ერთად-ერთი მოხერხებული გზაა. გარდა ამისა ამავე გზით ეზიდებიან დასახელებულ მაზრის მცხოვრებნი სხვადასხვა სასოფლო ნაწარმოებთ, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს თხილს.

ყოველივე ეს სიმდიდრე მნიშვნელობას მოკლებულია და თითქმის უცნობია ჩვენი ქვეყნისათვის რკინის გზის უქონლობის გამო, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რაიონისათვის და რომლის გაკეთებაც არ გამოიწვევს დიდ ხარჯებს, რადგან საჭირო არ იქნება ხიდების და გვირაბების გაყვანა, ვინაიდან წნორიდან ლაგოდეხამდე სწორი და პირდაპირი ადგილებია, გარდა ალაზნისა, სადაც საჭიროა დაახლოვებით ათ საჟენიანი ხიდი.

ყოველივე ამას საჭიროა მიექცეს ყურადღება სათანადო ორგანოების მიერ, რათა გაყვანილი იქნეს რკინის გზა, რომლის შემწეობითაც როგორც ადგილობრივ, აგრეთვე ზაქათალის მცხოვრებთ მიეცემათ იმ აურაცხელ სიმდიდრის გაზიდვის საშუალება, რომელიც მოიპოვება ამ რაიონში. არც რკინის გზა იზარალებს და მცირე ხნის განმავლობაში ხარჯს დაფარავს მარტო შემოსავალი ზიდვა...

ლადო.

# განათლების ფრონტზე

**9 წლიან შრომის სკოლების დასრულება**

განათლების კომისარიატის დადგენილებით მიენდო თბ. 9 წლიან შრომის სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს გამოჰყონ მე-9 ჯგუფიდან ისეთი მოწაფეები, რომლებიც თავის მომზადებისა და საერთო განვითარების მიხედვით შესძლებენ წელს შრომის სკოლის დამთავრებას. ცოდნის შესამოწმებლად უნდა მოეწყოს სათანადო კოლოკვიუმები. იმ 9 წლედებში, სადაც ერთი ჯგუფია, კოლოკვიუმები უნდა მოეწყოს ჯგუფის ყველა მოწაფეთათვის.

**ჰუმანიტარულ ტეხნიკუმების უკანასკნელი კლასები**

1923—24 სასწ. წელში ჰუმანიტარულ ტეხნიკუმების უკანასკნელი კლასების გაერთიანებული 9 წლიან შრომის სკოლებთან მე-9 ჯგუფების სახით, გამოშვებული უნდა იქნან გაზაფხულზე. ის მოწაფეები, რომლებიც ვერ მოასწრებენ კოლოკვიუმების ჩაბარებას სასწავლო წლის დამთავრებისას, მათთვის გამოცდები დაინიშნება შემოდგომაზე.

**საზაფხულო კოლოკვიუმების ვადა**

განათ. კომისარიატმა დაადგინა მოეწყოს კოლოკვიუმები 9 წლიან შრომის სკოლებში შემდეგ საგნებში: მათემატიკასა და ფიზიკაში, საზოგადოებათმეცნიერებაში, შრომის ისტორიასა, პოლიტიკურ ეკონომიასა, საბჭოთა კონსტიტუციასა და საბჭოთა აღმშენებლობაში, სამშობლო ენასა და ლიტერატურაში, ამათგან მათემატიკასა და ლიტერატურაში ზეპირი და წერითი, დანარჩენში მარტო ზეპირი.

# ხელოვნება

**მომღერალი სანდრო ინაშვილი მადრიდის სახელმწიფო თეატრში.**

ცნობილი ქართველი მომღერალი სანდრო ინაშვილი ამჟამათ მღერის მადრიდის (ესპანეთი) სახელმწიფო თეატრში.

ჩვენ აქ მოგვყავს იტალიის გაზეთის „კურიერე მილანო“-ს (1925 წლის 31 მარტის ნომერი) აზრი მომღერალის შესახებ.

...„ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მომღერალ-ბარიტონზე, რომ ლიც ამოვიდა თუ არა საქართველოდან იტალიაში, იმ წამსვე მიწვეული იქნა მადრიდის სახელმწიფო თეატრში. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ მას დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი.

მართლაც სანდრო ინაშვილს მეტად ლამაზი, მძლავრი, მელოდიური და ჰარმონიული ხმა აქვს...

...თავიდანვე ისეთი პირობები შეიქნა, რომ ის იძულებული იყო დათანხმებულიყო მადრიდში მიწვევაზე, მაგრამ მას დიდი სურვილი აქვს ესტუმროს ისევ იტალიას და ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ მისი სურვილი ჩქარა განხორციელდება.

მისი პირველი მოამენისთანავე, მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ასევე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს ის ყველა იმათზე, ვინც მოისმენს მის სიმღერას—ამიტომ ჩვენ ყოველგვარი რყევის გარეშე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მისი კარიერა ჩვენს ქვეყანაში იქნება ჩქარი და ბრწყინვალე“.

მადრიდში სანდრო ინაშვილი გამოვიდა სამ ოპერაში: ჰუგენოტები, კარმენი და აიდა. მადრიდის პრესა მას დიდის ქებით შეხვდა. სანდრო ინაშვილს ადარებენ იმ გამოჩენილ ბარიტონებს, რომლებიც მოუსმენია მადრიდის მუსიკალურ საზოგადოებას.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან ტორეადორის როლის შესრულებით ოპერა „კარმენ“-ში.

---

— ქუთაისში სამშაბათს—19 და ოთხშაბათს—20 მაისს. 1925 წ. ქუთაისის აკადემიურ თეატრში წარმოდგენილი იქნება დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მონაწილეობენ: თბილისის სახ. აკადემიურ ოპერის მსახიობნი: ო. კალანდაძე (ნინო), მ. ექსანიშვილი (გულჩინა), ლ. დოკვსაძე (შოთა), ნ. ელიოზიშვილი (აბდულ-არაბი), ვ. ლორთქიფანიძე (მგოსანი) და ქუთაისის მუსიკალურ ტეხნიკუმის მოწაფეები. დ. თოდუას ასული, ნ. ც. მაიას ასული, ვ. ქუთათელაძე და მომღერალთა გუნდი 120 კაცისაგან შემდგარი. რეჟისორი—ივ. ბარველი. ლოტბარი ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმის გამგე ილია აბაშიძე.

— **მწერალმა მ. ადამაშვილ-ჯავახიშვილმა** დასწერა ახალი მოთხრობა „მუსუსი“.

— **პროფ. ბეხტერევი** დღეს რუსთაველის თეატრში წაიკითხავს ლექციას: „ჰიპნოზი და სწორი ხედვა“.

# შემთხვევები

— **ქურდი ქალები.** 10 მაისს შეიპყრეს კლეოპატრა ბოჭკაველი და ანტონინა კრაბერი, რომელთაც ბრალდებათ მიხეილ ტყემალაძის ბინის გაქურდვა (ანასტასიევის ქ. № 7).

— **დაჭრა.** 11 მაისს საღამოს კარუსელის დამმართი ჩხუბის დროს მოქ. ვანო მანუკიანცმა დანით დასჭრა პეტრე ლოლაშვილი.

— **გვამის პოვნა.** 11 მაისს მე-8 სამილიციო ფარგალში მტკვარში იპოვეს ანაიდა შლიდერის გვამი.

— **შეპყრობა.** 11 მაისს შეიპყრეს აბგარ არაქელოვი ჯიბგირობისათვის.

— **ცეცხლი.** ქუთაისის ქ. № 24 მგალობლიშვილის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

— **ქურდობა.** 11 მაისს სამრეცხველის ჩიხ № 18 გაქურდეს მოქ. ბარბალე მჭედლიშვილის ბინა.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით ამავე დღეს ტატიანოვის ქ. № 4 ქეთევან მამულაიშვილის ბინიდან მოიპარეს 210 მან.

— 9 მაისს ლენინის ქ. № 53, ეზოში მოიპარეს წყალსადენის 4 კრანი, ღირებული 14 მან.

— ამავე დღეს ლენინის ქ. № 26, ნინა ბაგრატიონ-მუხრანსკის ბინიდან მოიპარეს 70 მან. ნივთები.

# ჩვენი ფოსტა

**თელავში,** იმ ამხანაგს, რომელმაც გამოგვიგზავნა წერილი ხელმოწერით **„ვწერ გაჭირვებული“.**

თქვენ იწერებით „სტრახის ფულზე“ და მილიციონერების თავგასულობაზე. იწერებით იმაზე, რომ „გამარჯვებულები ისინი არიან, ვისაც სასროლები უჭირამთო“. გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები დაწვრილებით ყოველგვარი უწესობის შესახებ ამ საქმეში, **დაგვისახელოთ „მოქმედი გმირები“, სად, როდის და რა ჩაიდინეს მათ, შეიძლება გქვთ რაიმე საბუთებიც.** გარწმუნებთ, რომ „გამარჯვებულები“ მიიღებენ საკადრისს. **ხელისუფლება არ დაზოგავს არავის, ვინც არღვევს რევოლიუციონურ კანონს და წესრიგს.**

* * *

**ოზურგეთი. მეგობარს.**

ჩვენ დავბეჭდავთ ყოველ წერილს, მამხილებელს ძალმომრეობის მოხელეთა უწესობის და ადმინისტრატიული ალვირახსნილობისას, თუ დანაშაულების დამამტკიცებელ საბუთს გამოგვიგზავნით, ან სწორ და უტყუარ ფაქტებს გვაცნობებთ, თუ იტყვით სახელდობრ სად, ვინ და რა ჩაიდინა, რა გააფუჭა. საჭიროა ჩვენთვის თქვენი ვინაობაც, **რომლის დაფარვის სრულ გარანტიას გაძლევთ,** როგორც ეს ჩვეულებათ გვაქვს გაზეთებს.

* * *

**თბილისი. შავინს.** შემოიარეთ რედაქციაში.

* * *

**დარჩელის თემი. (ზუგდიდის მაზრა) იოსე ტოტიაშს.**

თქვენი წერილი სრულიად შემთხვევით არ დაიბეჭდა თავის დროზე, გთხოვთ გვაცნობოთ როგორია ამ ჟამათ მდგომარეობა ადგილობრივ საფოსტო განყოფილებაში. იკარგება გაზეთები თუ მისდით დროზე ხელისმომწერთ. გთხოვთ შეგვატყობინოთ საზოგადოთ თქვენი აზრი გაზეთების გავრცელების უკეთ მოწყობის შესახებ.

* * *

**ამირ-ბარს.**—გვაცნობეთ ყოველისფერი.

* * *

**დარჩელის თემი (ზუგდიდის მაზრა) იოსე ტოტიაშის.** თქვენი წერილი გაზეთების გავრცელების შესახებ თავის დროზე ვერ დაიბეჭდა სრულიად შემთხვევით. გთხოვთ გვაცნობოთ მდგომარეობა ამ მხრივ ეხლა. როგორ მუშაობს ადგილობრივი საფოსტო გაიყოფილება, იკარგება თუ არა გაზეთები და საზოგადოთ თქვენი მოსაზრება გაზეთების გავრცელების უკეთ მოწყობის შესახებ.

# იურიდიული რჩევა-დარიგება

## მცირეწლოვან შვილს მამის ქონებიდან წილი ეკუთვნის თუ არა!

**კითხვა**

მას შემდეგ, რაც მე გავათხოვე ჩემი ქალი, უკვე გავიდა სამი წელი და უკვე ერთი წელიწადია, რაც მას ქმარი მოუკვდა. მას ჰყავს ერთი ქალი თერთმეტი თვისა. ჩემი სიძის სიკვდილის შემდეგ ჩემი ქალი გამოისტუმრეს თავის ობოლით ხელცარიელად ჩემმა სიძის დედ-მამამ.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, ობოლს ეკუთვნის რამე თუ არა თავის მამის ქონებიდან, ან და როგორ მოვიქცე.

**სოფ. წყნეთის გლეხი გარსო მანუკოვი.**

**პასუხი**

**თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 124—125-ისა, თუ ბავშვი არ იმყოფება სახელმწიფოს ან და საზოგადოების მზრუნველობაზე, მას აუცილებლად უნდა მიეცეს სარჩო-საბადებელი გარდაცვალებული მამის დაშთენილი ქონებიდან.**

პირადად თქვენ გირჩევთ მიმართოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით სახალხო სასამართლოს სათანადო განცხადებით.

## როგორ მოვიქცეთ და ვის მივმართოთ ჩვენი მდგომარეობის გამოსარკვევათ

**კითხვა**

ჩვენ 8 კაცი, თბილისის საქონლის სადგურში ვირიცხებით მეკარეებად; ასეთი თანამდებობა, გარდა თბილისის სადგურისა, მთელ საქართველოში არაა. ვღებულობთ ჯამაგირს მეექვსე ხარისხით.

1923 წლის პირველ იანვრამდე [illegible]

როლებში უკანვე ჩაბარება დეტალურ აღრიცხვის ქვეშ. ზემოაღნიშნული ფუნქცია უდავოდ გონებრივ სამუშაოთ უნდა ჩაითვალოს და ამას ამტკიცებს ისიც, რომ ჩვენ, როგორც არა ფიზიკურ მომუშავეებს და აგრეთვე როგორც არა დარაჯებს თავის დროზე არ მოგვცეს სპეცტანისამოსი, რადგან ჩაგვთვალეს გონებრივ [illegible]

# ამინაზღაურდება თუ არა ზარალი [illegible]

**კითხვა**

მე ვარ მიწის მუშა 65 წლის მოხუცი, მყავს სამი სული სარჩენი; ვცხოვრობ საკუთარი შრომით სოფელ სხვავაში (რაჭის მაზრა), მიწა მაქვს ნორმაზე ნაკლები; მასთან მაქვს ვენახი, დაახლოვებით იქნება ექვსასი ძირი ვაზი. აქაურმა 15 მოსახლემ გამიჭრა ჩემი ვენახი შუაზე სიგრძით 21 საჟენი, სიგანით 5 არშინი და გაიყვანეს გზა თავის საჭიროებისათვის, რითაც მომაყენეს დიდი ზარალი: ერთი რომ—აიჭრა ას ძირზე მეტი ვაზი და მეორე ის, რომ ორივე მხარეს უნდა გაუკეთდეს ღობე. შესაძლებელი იყო, რომ გზა გაეყვანათ ისე, რომ ზარალი არავისთვის არ იქნებოდა.

[illegible] მართო?

**მიწის მუშა სხვაველი.**

**პასუხი**

**თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 20-ისა, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით სასამართლოს წესით იმ პირებისგან, ვინც თქვენ მოგაყენათ ზარალი, ამ უკანასკნელის ანაზღაურება და ჩამორთმეული მიწის ნაცვლად მოითხოვოთ სხვა ბადალი მიწა იგივე რაოდენობით.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 25

**ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა**

1925 წლის 9 მაისის.

დამატებით ს. ს. რ. შრომის სახ. კომის. 1924 წ. 8 იანვრის თარიღით და 4 №-ით „სამშაბათობით და ოთხშაბათობით ქ. თბი- [illegible]

სამხედრო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და შრომის კოლექტივებს სამშაბათობით და ოთხშაბათობით მუშაობის წარმოების ნება ეძლევათ საღამოს 6 საათამდე.

2) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი [illegible]

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

[illegible]

2) [illegible] კანდიდატების მიღება.

დასწრება სავალდებულოა ყველა პარტდელეგატებისათვის და კომუჯრედების მდივნებისთვის,

მდივნის მაგიერ—ფ ა ნ ც უ ლ ა ი ა.

— თ. კ. ალმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ორი დღის განმავლობაში ამხ. კარელისთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ბაღდასაროვი კ., გაგლოევი დიმიტრი, გაზარიანი ოსიფ, საფარიან არშავირ, მუსალიტინ, ანისენკო მათე, გრიბნიკოვი ანდრია, რუსიშვილი ქეთევან, ჯიოევი დ.

# განცხადებები


12 ამა მაისს ქ. ზესტაფონში უდროვოდ გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ

**მელიტონ მალაქიას-ძე**
**გაჩეჩილაძე**

რასაც დამწუხრებული მისი მეგობრები პაპუნა აბაშიძე და კალენიკე საყვარელიძე აუწყებენ გარდაცვალებულის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს.

---

გულდამწვარი მშობლები ნინა და ვლადიმერ ფანცულაები, დეიდა ვერა და ბიძა გიორგი ხუნდაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებთ, რომ 11 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

**ევგენი ვლადიმერის ძე**
**ფანცულაია**

გამოსვენება ბინიდან, ალექსანდროვის ქ. № 31 ა | წ. 14 მაისს ნაშუადღევის 4 ს. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2-1 1316

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ძმა იოსებ ზაქარიას ძე, დედა ფრანცისკის ასული პაპ შვილები პატარა მიტუშათი, აცნობებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამა წლის 14 მაისს, ხუთშაბათს, დილის 10 საათზე კათოლიკეთა ეკლესიაში (კათოლიკეთა ქ. № 4) დანიშნულია წირვა-პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარის საყვარელის შვილის და დის

**მარიამი იოსების ასული**
**პაპაშვილის**

გარდაცვალებიდამ წლის თავის შესრულების გამო. 1-1 1315

---

კრიგოლი ივანეს-ძე კალატოზოვი და ნატალია ივანეს ასული ივანოვისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს პირველი—საყვარელ მეუღლის და მეორე—ქალიშვილის

**ვერა გრიგოლის ასული**
**კალატოზოვისა**

უდროვოდ გარდაცვალებას.

გამოსვენება მოხდება 14 მაისს დღის 4 საათზე არამიანცის სახელობის საავადმყოფოდან. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე 1—1

---

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი შვილები—მიხაკო და პოლიკარპე, რძლები—სონა, აგრაფინა და სარა, შვილისშვილები: პეტუშა, დარია, ფილიპე, ივანე და დარეჯანი დოლიძეები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 მაისს, დილის 8 საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პირველთა დედა და დანარჩენთა ბებია

**მინა გიორგის ასული დოლიძისა**

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ამაღლებაში (გურია) შაბათს, 16 მაისს, ნაშ. 4 საათზე. 1-1 1320

---

ღრმად დამწუხრებულნი ტასო გლახუნის ასული—შვილით ქეთევანი სიმონის ასული დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

**მინა გიორგის ასული**
**დოლიძისა**

დასაფლავება მოხდება სოფ. ამაღლებაში (გურია) 16 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1-1 1320

---

ღრმად დამწუხრებულნი შალვა და შუშანა ვასაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი გამზრდელი ბებია

**მინა გიორგის ასული**
**დოლიძისა**

დასაფლავება მოხდება სოფ. ამაღლებაში, 16 მაისს, შაბათს ნაშუადღევის 4 საათზე. 1-1 1320

---

**„ზაკავტოპრომტორგ“**
**(„ЗАКАВТОПРОМТОРГ“)**

ხოლოლაკის ქუჩა № 1. ტელ. № 6—84.

მგზავრებისათვის საუკეთესო პირობები. გაიხსნა ყოველდღიური ავტო მიმოსვლა. სპეციალური კომისიის მიერ შემოწმებული შოფერები. წყნარი მგზავრობა.

**ავტომობილების მიმოსვლა შემდეგი მიმართულებით:**

1. თბილისი—კავკავი.
2. თბილისი—კოჯორი.
3. თბილისი—კიკეთი.
4. თბილისი—მანგლისი.
5. თბილისი—ბელიკლიუჩი.
6. ბათომი—მწვანე კონცხი,
7. ბათომი—აჭარის წყალი,
8. ქობულეთი (სადგური)—სანატორიუმი,
9. ახალსენაკი—ზუგდიდი,
10. სოხუმი—გუდაუთი,
11. ქუთაისი—ონი,
12. ქუთაისი—ხონი—სამტრედია,
13. ქუთაისი—ბაღდადი,
14. ბორჯომ-ახალც.—აბასთუმანი,
15. ერევანი—ეჩმიაძინი,
16. ერევანი—დელიჟანი,
17. ერევანი—დარაჩიჩაგი,
18. ერევანი—კამარლუ,
19. კარაკლისი—დელიჟანი,
20. სტეპანოვან (ჯალალ-ოღლი)—კაზაგერან.

ბილეთების გაყიდვა, ცნობების მიღება და ავტომობილების გასვლა შემდეგი მიმართულებით:

1. თბილისი—კავკავი, 2. თბილისი—კოჯორი, 3. თბილისი—კიკეთი, 4. თბილისი—მანგლისი, 5. თბილისი—ბელიკლიუჩი, დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ყოფილ სასტუმრო „კავკაზ“-ის პირდაპირ.

ყველა დანარჩენ ადგილებში არსებობს კანტორები, სადაც შეიძლება ბილეთების შეძენა და ცნობების მიღება.

ნ. 1154. 3—1.

---

**„საქმედვაჭრობის“**
**ცენტრალური სააფთიაქო საწყობი**

კამოს ქუჩა № 76.

**17 მაისს, დილის 9 საათზე, დანიშნულია**

**აუქციონი**

რომლითაც გაიყიდება სხვადასხვაგვარი ქონება: ბოჭკები, კონიაკის ესენცია, ნარმის თავსაფრები, ფურგუნები და ბევრი სხვა.

ნის. 1156. 2—1

---

**სრულიად საქართველოს მონადირეთა კავშირის**

**მესამე ყრილობა**

გაიხსნება ა. წ. მაისის 16 საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის შენობაში (დიდ დარბაზში)

დელეგატები გატარდებიან რეგისტრაციაში და მიიღებენ მანდატებს კავშირის კანცელარიაში (რუსთავ. პროსპ. 34) საღამოს 5-დან 9 საათამდე, ხოლო ყრილობის გახსნის დღეს დილის 10 საათ. 5 ს.-დე იქნება.

ნის. 1160. 1—1 **ცენტრალური საბჭო.**

---

**15 მაისი** **მცირე თეატრი** **15 მაისი**

**ტერენტი გრანელის**
**პოეზიის საღამო**

1. სიტყვები.
2. პოეზია.
3. მუსიკა.

**10 მაისს დანიშნული საღამო გადაიდო**

ნის. 1159. 3—1

---

**ტფილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება**

ამით აცხადებს, რომ მისი თაოსნობით ა | წ. მაისის 13-ს საღამოს სრულ 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია ყოველივე სახის ტრანსპორტის მომუშავეთა თათბირი (შოფერები, მეეტლეები, მეფურგუნეები, მოტო-ველო მანქანებზე მომუშავეების და სხვ.) ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ ა | წ. № 56 გამოცემულ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარების წესებზე გასაცნობლად, რაიც შეეხება ტფილისში მომუშავე მილიციონერთათვის კვერთხის შემოღებას და ამასთან დაკავშირებით ქალაქის ქუჩებში ავტო-მოტო-ველო მანქანებისა და სხვა ყველა სახის სამგზავრო და გადასაზიდ საშუალებათა მოძრაობის მოწესრიგებას. ადმინისტრატიული განყოფილება, შესაფერ პროფკავშირებთან წინასწარ შეთანხმებით, წინადადებას აძლევს ყველა ზემო მოხსენებულ მომუშავეთ, რომლებიც მუშაობისაგან თავისუფალნი იქნებიან, დაუგვიანებლივ გამოცხადნენ ზემო აღნიშნულ თათბირზე.

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების გამგე იგივე მილიციის უფროსი **ხმალაძე.**

**სხმილიციო ქ | განყოფილების უფროსი კილურაძე.**

2—2 1153

---

**საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კურორტთა მთავარი სამმართველო**

საქართველოს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტებზე: აბასთუმანში, ბორჯომში, ცემში, წაღვერში, ბაკურიანში საზაფხულო სეზონი გაიხსნება 1-ლ ივნისიდან და გასტანს 1-ლ ოქტომბრამდე.

ბახმაროზე 1-ლ ივლისიდან 1-ლ სექტემბრამდე,

ახტალაზე—15 ივნისიდან 1-ლ ოქტომბრამდე,

წყალტუბოში—1-ლ მაისიდან 1-ნოემბრამდე,

სანატორიუმ აბასთუმანში—15 ივნისიდან 1-ლ ნოემბრამდე,

ბორჯომში და ცემში 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე.

სასანატორიო საწოლი თვიურად (კვება, მკურნალობა, მედიკამენტები, პროცედურები და სხვ.) ღირს: იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც დაიქირავებენ არა ნაკლებ ათ საწოლისა—160 მანეთი, პროფკავშირის ერთეულ წევრისათვის, წითელარმიელებისათვის, გლეხებისა და მათი ოჯახების წევრთათვის—180 მან.; კერძო პირთათვის—230 მან.

აბასთუმანში, ბორჯომში და ბახმაროზე ოთახები ქირავდება უსაჭიროეს ავეჯით, წაღვერში ოთახები არ არის.

პროფკავშირების წევრები და მათთან შეღავათებით გათანასწორებული პირნი სეზონის განმავლობაში კვადრატიულ არშინზე იხდიან: ისინი, ვინც თვიურ ჯამაგირს ღებულობენ 100 მანეთამდე—პირველ კატეგორიის ოთახის კვ. არშინზე—1 მან. 50 კაპ., მეორე კატეგორიის—1 მან. 25 კაპ., მესამე კატეგორიის—1 მ., ისინი, ვინც თვიურ ჯამაგირს ღებულობს 100-დან 200 მანეთამდე—პირველი კატეგორიის ოთახის კვადრატიულ არშინზე—2 მან., მეორე კატეგორიის—1 მან. 50 კაპ. და მესამე კატეგორიის ოთახის კვ. არშინზე—1 მან. 25 კაპ.

ბინის ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო ძირითადი ჯამაგირი, არამედ თვიური ხელფასის საერთო ჯამი, რაც უეჭველად აღნიშნული უნდა იყოს ამის შესახებ წარმოდგენილ სათანადო მოწმობაში.

პროფკავშირის იმ წევრებისათვის, რომელნიც თვიურად 200 მანეთზე მეტს ღებულობენ და აგრედვე დანარჩენ მოქალაქეთათვის ბინის ქირა განისაზღვრება შეთანხმებით.

მთელი საცხოვრებელი ფონდის 25 პროც. გაქირავდება კერძო მოქალაქეებზე.

იმ ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ აიღონ იჯარით სახლები და სანატორიუმების საწოლები, საამისო განცხადება უნდა შემოიტანონ 15 მაისამდე. აბასთუმნის ოთახები გაიცემა მხოლოდ თბილისში მთავარ საკურორტო სამმართველოდან. ის პირნი, რომელთაც არ ექნებათ ოთახებზე ორდერები, არ გაიშვებიან ბორჯომიდან აბასთუმანში.

ოთახების სიმცირის გამო, მათი გაცემის დროს, უპირატესობა მიეცემათ იმათ, ვინც უფრო მეტად საჭიროებენ კლიმატიურ და ბალნეოლოგიურ მკურნალობას.

ოთახების დაქირავების შესახებ სათანადო განცხადებები მსურველთ უნდა შემოიტანონ მთავარ საკურორტო სამმართველოში 20 მაისამდე. განცხადებებს თანდართული უნდა ჰქონდეს ექიმის მოწმობა, თვიური ჯილდოს და ყოველგვარი გასამრჯელოს შესახებ ცნობები.

იმ პირთა სია, რომლებსაც მიეცემათ ოთახები, იქნება გამორკვეული 25 მაისს.

ოთახების დამქირავებელმა ხვედრი ქირა უნდა გადიხადონ 5 ივნისამდე ჩათვლით, წინაამდეგ შემთხვევაში, 6 ივნისს მათთვის დანიშნული ოთახები გადაეცემა კანდიდატებს.

კურორტთა მთავარ სამმართველოს ბინა—მესანგრეთა ქ. №30

2—1 ნ. 1158

---

ელექტრონით და სინათლით

**სამკურნალო**

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ინ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—16

---

**იყიდება**

კამოდი, ხალიჩა, 2 ყვავილების „ტუმბოები“, მაგიდა რ ვალი ვენის და სათამაშო ქაღალდის სურათი, ნოტები და შკაფი. დიდუბე ტრამვაის ქუჩა № 3. რკინის გზის საავადმყოფოს ბაღის პირდაპირ შესავალი სადარბაზო კარებიდან, მეორე სართული.

1314 1—1

---

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

ხიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—19

---

კბილის ექიმი

**ფ. თ. რატიანი თუხარელისა**

კბილის და ღძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—25

---

ექიმი

**ნ. ა. ჭანდიერი**

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—9

---

ექიმი

**მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—10

---

ექიმი

**ა. ს. ფონ-ირტელი**

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—20

---

ექიმი

**დ. ა. გალუსტიანი**

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე. ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—17.

---

ექიმი

**გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—2

---

ექიმი

**გ. გ. მეჯრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—21

---

**დავკარგე** კბილის ექიმის დიპლომი მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1917 წლ. კბილის ექიმის კალანდაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1318

---

ექიმი

**ი. დ. თოფურიძე**

უჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—24

---

**დავკარგე** პასპორტი და მეტრიკული მოწმობა იოსებ გაგნიძეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1319

---

**დავკარგე** საჭირო ქაღალდები, მოცემული ზუგდიდის მაზრის დამზღვევი სალაროს მიერ კირილე მიქაიას სახელზე, ტყავის საფულითურთ. მნახველი მიიღებს ჯილდოს, მისამართი ელექტრონით და სინათლით სამკურნალო, ყორღანოვის ქ. № 20 კირილე მიქაიას. 1—1 1318

---

**დავკარგე** პირადობის მოწმობა ონან მალამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1317

---

**ა. მ. მძინარაშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

**მისამართი:** რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—18

---

**დავკარგე** დამზღვევი კასის წიგნაკი № 4910, კოლა კვნჭაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1312

---

**დავკარგე** ქართულ მუშფაკის მსმენელმა არტემ ივანეს ძე გოცაძემ პარტკანდიდატის ბილეთი № 4783. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1322

---

**დავკარგე** მელიტონ სერგოს ძე მხეიძის სახელზე სამღრიცხვო-სარეგისტრაციო ბარათი № 2687, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1321


ტირაჟი—20.439

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4